

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 134-1943

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIII

თბილისი

„მეცნიერება“

1995

#62#

ბ. ჯორბენაძე

რთული ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი დანიშნულებისათვის ქართულში

ზმნისწინის ერთ-ერთ ფუნქციად სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულია ახალი ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატვა; ანუ: ზმნისწინებით ხერხდება სხვადასხვა ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვა: ა-გებს, შდრ.: წა-აგებს, ჩა-აგებს, და-აგებს და მისთ. ოღონდ აქ გასათვალისწინებელია ერთი მომენტი: ზმნისწინთა ეს უნარი ძირითადად დაჩნდება მყოფადის წრისა და აგრეთვე II — III სერიის ფორმებში. რაც შეეხება აწმყოს, ლექსიკური სხვაობის გამოხატვა კონტექსტს ეკისრება; შდრ.:

აწმყო:

- ა) ხმაღს ქარქაშში ა-გ-ებ-ს
- ბ) ახალ სახღს ა-გ-ებ-ს
- გ) ჭადრაკს ხშირად ა-გ-ებ-ს
- დ) იატაკს ა-გ-ებ-ს...

მყოფადი:

- ა) ჩა-ა-გ-ებ-ს
- ბ) ა-ა-გ-ებ-ს
- გ) წა-ა-გ-ებ-ს
- დ) და-ა-გ-ებ-ს...

მყოფადის ანალოგიური ვითარებაა II და III სერიაში: ჩა-ა-გ-ო, ა-ა-გ-ო, წა-ა-გ-ო, და-ა-გ-ო... ჩა-უ-გ-ი-ა, ა-უ-გ-ი-ა, წა-უ-გ-ი-ა, და-უ-გ-ი-ა...

ანუ: ა-გ-ებ-ს ზმნის ფუძე (-გ-) პოღისემანტიკურია, ნაირგვარ მნიშვნეღობათა გამოხატვა ხერხდება ან კონტექსტით, ან ზმნისწინით. ასეა თუ ისე, ზმნისწინი გამოყენებული აღმოჩნდა ლექსიკურ მნიშვნეღობათა განსასხვავებლად.

ამჯერად შევებებით ზმნისწინთა მარტივ და რთულ სახეობებს, გამოყენებულთ განსხვავებული ლექსიკური მნიშვნეღობების გამოსახატავად.

„მარტივი ზმნისწინი“ და „რთული ზმნისწინი“ პირობითი ტერმინებია. რთულია ის ზმნისწინი, რომღის შემადგენღობაში მეორე კომპონენტად შეღის მო-: ა- → ა-მო-, ჩა- → ჩა-მო-, გა- → გა-მო-, შე- → შე-მო-...¹ რთული ზმნისწინი I და II პირისაკენ მიმართულ მოქმედებას აღნიშნავს

¹

¹ ა . შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტომი III, თბ., 1980, გვ. 3.

#63#

ჩვეულებრივ, მარტივი (გარდა საკუთრივ მო- ზმნისწინისა) — III პირისაკენ მიმართულ მოქმედებას:

ა-ვიდა — ამო-ვიდა

ჩა-ვიდა — ჩამო-ვიდა

გა-ვიდა — გამო-ვიდა

შე-ვიდა — შემო-ვიდა

წა-ვიდა — წამო-ვიდა...

და ასე: გა-ფრინდა — გამო-ფრინდა, ჩა-აგდო — ჩამო-აგდო, წარ-ადგინა — წარმო-ადგინა და მისთ.

სააქეთო (I და II პირისკენ მომართული) და საიქითო (III პირისკენ მიმართული) მოქმედებების აღნიშვნა ამ რიგის დაპირისპირებისას ძირითად ფუნქციად მიიჩნევა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთო ოპოზიცია უპირატესად დაჩნდება გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებში. ესაა ზმნები, რომლებიც გამოხატავენ: მოძრაობას (ა-ვიდა — ამო-ვიდა, გა-იქცა — გამო-იქცა, შე-ფრინდა — შემო-ფრინდა...), რისამე ან ვისამე გადაადგილებას (გა-იტანა — გამო-იტანა, წა-იღო — წამო-იღო, წა-იყვანა — წამო-იყვანა...) და მისთ. ანუ: იმ ზმნებში, რომელთა სემანტიკა (ლექსიკური მნიშვნელობა) მოიცავს ლოკალობის ფუნქციასაც.

სხვა შემთხვევებში რთულ ზმნისწინებს სხვაგვარ მნიშვნელობათა გამოხატვაც აკისრია.

მაგალითად, შემო- ზმნისწინით აღნიშნება როგორც გარედან შიგნით I და II პირისაკენ მომართული მნიშვნელობა (იხ. ზემოთ), ასევე: ა) მოქმედება რისამე ირგვლივ: შემო-ტეხა, შემო-ღობა, შემო-ახია, შემო-არტყა... (შდრ.: შე-ტეხა, შე-ღობა, შე-ახია, შე-არტყა...); ბ) უნებლიე მოქმედება: შემო-აკვდა, შემო-ეჭამა...² (შდრ.: შე-აკვდა, შე-ეჭამა...); გ) სუბიექტისაკენ (სულ ერთია, რომელი პირისა) მიმართული მოქმედება: შემო-ინახა, შემო-იჩვია... (შდრ.: შე-ინახა, შე-იჩვია...).

ამო- ზმნისწინი, გარდა ქვემოდან ზემოთ I და II პირისაკენ მომართული მოქმედებისა, აღნიშნავს სუბიექტისაკენ (მათ შორის — III პირის სუბიექტისაკენ) მიმართულ მოქმედებასაც: ამო-ლესა, ამო-წმინდა, ამო-გლიჯა... (შდრ.: ა-ლესა, ა-წმინდა, ა-გლიჯა), აგრეთვე: ზოგადად ქვემოდან ზემოთ მომართულ მოქმედებას (პირებთან მიმართების გარეშე): ამოჩუხჩუხებს, ამობიბინდება, ამოჯეჯილდება და მისთ.

ყველა ამგვარ ფუნქციათა გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ ამჯერად ეს ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

იმავედროულად რთულ ზმნისწინებს შეიძლება დაეკისროს ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავების დანიშნულებაც.

შევნიშნავთ, რომ ლექსიკური დაპირისპირება მარტივ და რთულ ზმნისწინიან ფორმებს შორის შესაძლოა იყო როგორც სრული (გვაქვს მხოლოდ განსხვავებული მნიშვნელობები), ასევე — ნაწილობრივი (დაჩნდება გადამკვეთი მნიშვნელობებიც).

² ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის 80 წლისთავისადმი, თბ., 1969.

ჯერ წარმოვადგენთ სრული სემანტიკური სხვაობის შემთხვევებს.

გა-გო-ნება — I. ვისიმე გასაგონად თქმა, წამოძახება; 2. მოსმენა, შესმენა

გამო-გონება — 1. რაიმე ახლის მოფიქრება, მოსაზრება, შექმნა, წარმოქმნა; 2. რაც გამოიგონეს, გამოგონება; 3. შეთხზვა, მოჭორვა რისამე.³

ანალოგიური დაპირისპირებაა მიმღეობის დონეზეც:

გა-მგონებელი — ვინც გაიგონებს (რასმე), ვინც უგონებს (ვისმე რასმე), ვისიმე სიტყვის დამჯერებელი: „მთქმელსა და გამგონებელსა ძილი გაამოთ ყველასა“.

გამო-მგონებელი — ვინც გამოიგონებს რასმე; გამოგონებათა ავტორი: „ახალგაზრდა გამომგონებელი“.

დასახელებული იყო სასუბიექტო მიმღეობის ფორმები. იგივე ვითარებაა საობიექტო მიმღეობათა დონეზეც: გა-გონებელი — გამო-გონებელი, გა-ნაგონი — გამო-ნაგონი, გა-საგონი — გამო-საგონი.

დასტურდება პირიანი ფორმებიც, ოღონდ ამ შემთხვევაში თავისებური ვითარებაა: დაპირისპირება ხდება მხოლოდ ი- და უ- პრეფიქსიან ფორმებში.

ა- პრეფიქსით გამოიყენება ოდენ გა- ზმნისწინიანი ფორმა: გა-ა-გონებ-ს „ხმას მიაწვდენს ვისმე“.

შდრ.: გა-ი-გონებ-ს — გამო-ი-გონებ-ს

გა-უ-გონებ-ს — გამო-უ-გონებ-ს.

აწმყოში უზმნისწინო როგორც ი- პორეფიქსიანი, ასევე უ- პრეფიქსიანი ფორმები ზემოხსენებულ მნიშვნელობებს მხოლოდ კონტექსტით განარჩევს:

„ი-გონებ-ს ვისიმე ნათქვამს“ — „ი-გონებ-ს ახალ ხელსაწყოს“, ასევე:

„უ-გონებ-ს (-უჯერებს) ვილაცას“ — „უ-გონებ-ს ჭორს ვილაცას“.

გა-ჩენა — წარმოშობა, შექმნა: „ბავშვის გაჩენა“; გადატანითი მნიშვნელობით: ცეცხლის გაჩენა: „ცეცხლის დანთება, მოკიდება, წაკიდება“.

გამო-ჩენა — დასანახად ქცევა, გახდომა, გამოსვლა რისამე; ჩვენება, თვალსაჩინოდ, ცხადად ქცევა რისამე, გამოაშკარავება, გამომჟღავნება, გამოვლენა: „თავის გამოჩენა“.

დაპირისპირება მიმღეობის დონეზე:

გა-მჩენი — გამო-მჩენი

გა-ჩენილი — გამო-ჩენილი

გა-საჩენი — გამო-საჩენი.

დაპირისპირება პირიანი ფორმების დონეზე:

ა) მოქმედებითი გვარი:

გა-ა-ჩენს — გამო-ა-ჩენს

გა-ი-ჩენს — გამო-ი-ჩენს

გა-უ-ჩენს — გამო-უ-ჩენს.

³ განმარტებანი ძირითადად მოცემულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მიხედვით (თბ., 1950-1964).

#65#

ბ) ვნებითი გვარი:

გა-ჩნდება — გამო-ჩნდება

გა-უ-ჩნდება — გამო-უ-ჩნდება.

ასე რომ, დაპირისპირება ყველა დონეზე და სისტემაში თანამიმდევრულად არის წარმოდგენილი.

გა-თქმა — 1. დაჩნდება გამოთქმაში: სახელის გათქმა „სახელის მოხვეჭა, ცნობილად გახდომა“; ამ მნიშვნელობით ამჟამად უფრო ხშირად გამოიყენება **გან-თქმ-ა**; 2. დაბეზლება, დასმენა; გამჟღავნება, გამხელა: „ფარული ორგანიზაციის გათქმა“.

გამო-თქმა — 1. გამოხატვა, გადმოცემა რისამე (სიტყვით, წერილობით); 2. სამეტყველო ბგერის წარმოება, წარმოთქმა; 3. ლაპარაკის კილო, აქცენტი; 4. შეთხზვა, შექმნა (ლექსისა...); 5. აზრი, მოსაზრება; ნათქვამი: „ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია“.

დაპირისპირება ხდება ყველა დონეზე:

მიმდებარეობს:

გა-მ-თქმელი — გამო-მ-თქმელი

გა-თქმული — გამო-თქმული

გა-სათქმელი — გამო-სათქმელი

გა-უ-თქმელი — გამო-უ-თქმელი

პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარი:

გა-თქვამს — გამო-თქვამს

გა-ი-თქვამს — გამო-ი-თქვამს

გა-უ-თქვამს — გამო-უ-თქვამს

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : გა-თქვამ-ს ძირითადად გამოიყენება მნიშვნელობით: „გამჟღავნებს, გაამხელს“, ხოლო გა-ი-თქვამ-ს, გა-უ-თქვამ-ს — მნიშვნელობით: „მოიხვეჭს, მოუხვეჭს“ („სახელს გაითქვამს“, „სახელს გაუთქვამს“). მიუხედავად ამისა, დაპირისპირება გამო-ზმნისწინიან ფორმებთან ყველა შემთხვევაში სრულია.

ვნებითი გვარი:

გა-ი-თქმება — გამო-ი-თქმება

ოღონდ გასათვალისწინებელია: ვნებითის ფორმები უპირატესად პოტენციალის ფუნქციით გამოიყენება და ისიც უარყოფის დროს: არ გაითქმება „გათქმა, გამჟღავნება არ შეიძლება“, არ გამოითქმება „თქმა, გამოთქმა შეუძლებელია“.

გა-ცნობა — 1. უცნობი პირისათვის გასაცნობად წარდგენა; ნაცნობობის მიზნით წარდგომა, ნაცნობად გახდომა;

გამო-ცნობა — მიხვედრა, დაფარულის შეტყობა, გაგება.

ვინმესთან დაახლოვება; 2.

#66#

ვისიმე ხასიათის, გუნება-განწყობის
გაგება, შეცნობა; 3. ვისიმე ან რისამე
შესახებ ცნობების მიღება ან მიწვდენა; 4.
უცნობ ვითარებაში გარკვევა...

ამოსავალი (ბაზისური) სემანტიკა საერთოა, მაგრამ აშკარაა ფუნქციური
დაშორებაც, რაც თანამიმდევრულად არის გატარებული ყველა დონეზე.

მიმღეობა:

გა-მ-ცნობი — გამო-მ-ცნობი

გა-ცნობილი — გამო-ცნობილი

გა-საცნობი — გამო-საცნობი

გა-უ-ცნობელი — გამო-უ-ცნობელი || გამო-უ-ცნობი.

პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარი:

ცალადაა ა- პრეფიქსიანი გა-ა-ცნობს ფორმა, მისი ფარდი გამო- ზმნისწინიანი
ვარიანტი არ დასტურდება; შდრ.:

გა-ი-ცნობს — გამო-ი-ცნობს

რაც შეეხება უ- პრეფიქსიან ფორმებს, აქ უკვე ოდენ გამო- ზმნისწინიანი
წარმოება დაჩნდება: გამო-უ-ცნობს (და ისიც იშვიათი გამოყენებისაა).

ვნებითი:

გა-ი-ცნობს — გამო-ი-ცნობა

ეს ფორმებიც უპირატესად უარყოფითი პოტენციალის დანიშნულებითაა გამოყენებული: არ გაიცნობა „გაცნობა შეუძლებელია“, არ გამოიცნობა „გამოცნობა შეუძლებელია“.

რელატიურ ფორმად გვხვდება ოდენ გა-ე-ცნობა (გამო-ზმნისწინიანი ვარიანტი არ არის დამოწმებული; იხმარება გამო-ე-ცნობილება, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ფუძისა და წარმოების ზმნაა).

გა-ცემა — 1. რისამე (წიგნის, პასუხის...) მიცემა; 2. ვისიმე საიდუმლოს გამჟღავნება, გამხელა; 3. დაბეჭდება, დასმენა, ლალატი.

გამო-ცემა — 1. გამოშვება (ხმისა ან სუნისა): „საამო ხმებს გამოსცემს“; 2. გამოქვეყნება, დაბეჭდვა (წიგნისა, ჟურნალისა, სტატიისა...); 3. რაც გამოსცეს, გამოაქვეყნეს, დაბეჭდეს (წიგნის, ჟურნალის... სახით) პუბლიკაცია; 4. გამოცხადება (ბრძანებისა, კანონისა).

დაპირისპირება ამ შემთხვევაშიც ყველა დონეზე დაჩნდება.

მიმღეობა:

გა-მ-ცემი || გა-მ-ცემელი — გამო-მ-ცემელი || გამო-მ-ცემი

გა-ცემული — გამო-ცემული

#67#

გა-საცემი || გა-საცემელი — გამო-საცემი || გამო-საცემელი

გა-უ-ცემელი — გამო-უ-ცემელი || გამო-უ-ცემი.

შენიშვნა: პარალელურ ფორმათაგან პირველი უფრო ხშირად ხმარებულია; ასეთებია: გა-მ-ცემი, მაგრამ: გამო-მ-ცემ-ელ-ი, შდრ.: გამო-საცემი...

პირიანი ფორმები:

მოქმედებით გვარში დაპირისპირება გვაქვს მხოლოდ საარვისო ქცევის დონეზე (სათავისო და სასხვისო ქცევა გა-ზმნისწინიან ფორმებს არ მოეპოვება):

გა-ს-ცემს — გამო-ს-ცემ-ს

X — გამო-ი-ცემ-ს

X — გამო-უ-ცემ-ს

შენიშვნა: ზოგ კონტექსტში შესაძლებელია სემანტიკური გადაკვეთა: ხმას გასცემს — ხმას გამოსცემს... მაგრამ ასეთი ერთეული შემთხვევებია.

ვნებითი გვარი:

გა-ი-ცემა — გამო-ი-ცემა

ამათგან გა-ი-ცემა უპირატესად უარყოფითი პოტენციალის ფუნქციით არის გამოყენებული: არ გაიცემა „გაცემა შეუძლებელია“.

რაც შეეხება რელატიურ ვარიანტს, აქ მხოლოდ გა-ზმნისწინიანი ფორმაა დადასტურებული (და ისიც შეზღუდულად გამოიყენება): პასუხი გაეცა.

გა-კეთება — 1. შრომით რისამე შექმნა; 2. შემზადება, მომზადება (კერძისა...); 3.

გამო-კეთება — 1. გამოსწორება: „ძნელია წამხდარი საქმის

გამდიდრება; 4. გაფუჭება (ღვინისა...).
დაჩნდება ფრაზეოლოგიურ
გამოთქმებში: გულის გაკეთება „გულის
გამაგრება“, მოხსენების გაკეთება,
მოხსენების მომზადება ან წაკითხვა“,
დასკვნის გაკეთება „დასკვნის
გამოტანა“...

გამოკეთება“; 2. უკეთ გახდომა,
გამოჯანმრთელება: „მთის ჰაერი
გამოაკეთებს“.

დაპირისპირება გვაქვს ყველა დონეზე.

მიმდებარე:

გა-მ-კეთებელი — გამო-მ-კეთებელი

გა-კეთებული — გამო-კეთებული

გა-საკეთებელი — გამო-საკეთებელი

გა-უ-კეთებელი — გამო-უ-კეთებელი.

პირიანი ზმნები:

მოქმედებითი გვარი:

გა-ა-კეთებს — გამო-ა-კეთებს

გა-ი-კეთებს — გამო-ი-კეთებს

გა-უ-კეთებს — გამო-უ-კეთებს.

#68#

ვნებითი გვარი:

გა-კეთდება — გამო-კეთდება

გა-უ-კეთდება — გამო-უ-კეთდება.

გა-ხდომა — 1. რამედ შექმნა, გადაქცევა:
„ვანო ექიმი გახდა“, „თბილისის დიდი
ქალაქი გახდა“. 2. სიმსუქნის მოკლება,
დამჭლევა.

გამო-ხდომა — გასვლა (დროისა):
„ხანი გამოხდა“.

დაპირისპირებული რიგები შეზღუდულია იმის გამო, რომ გამო-ზმნისწინიანი ვარიანტი ვერ იწარმოებს მთელს წყებას ფორმებისას. მაგალითად, გვაქვს გა-მ-ხდარი, გა-სა-ხდომი, მაგრამ არ დასტურდება მათი გამო-ზმნისწინიანი ვარიანტები...

გა-ხდა — ჩაცმულის (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის) მოცილება, მოშორება, გაძრობა.

გამო-ხდა — წურვით (წნევით) წვენის გამოდენა; სითხის (არყის...) მიღება დუდილის შედეგად წარმოქმნილი ორთქლიდან.

დაპირისპირება დაჩნდება ყველა დონეზე.

მიმდებარეობს:

გა-მ-ხდელი — გამო-მ-ხდელი

გა-ხდილი — გამო-ხდილი

გა-სახდელი — გამო-სახდელი

გა-უ-ხდელი — გამო-უ-ხდელი.

პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარი:

გა-ხდის — გამო-ხდის

გა-ი-ხდის — გამო-ი-ხდის

რაც შეეხება უ-პრეფიქსიან ვარიანტს, იგი მხოლოდ გამო-ზმნისწინიან ფორმას მოეპოვება: გამო-უ-ხდის („არაყს გამოუხდის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : 1. გა-ხდომა და გა-ხდა ომონიმურ ფორმებს იძლევა უღვლილების სისტემაში: გა-ხდის: ა) ექიმად გახდის → ექიმად გახდომა; ბ) ექიმს გახდის → ექიმის გახდა; პირველ შემთხვევაში გამოიხატება მნიშვნელობა: „რამედ შექმნა, გადაქცევა“, მეორე შემთხვევაში — „ჩაცმულის მოცილება, მოშორება“... ასეა მოქმედებითი გვარის ფორმათა უღვლილებისას. ვნებითში სხვაგვარი ვითარებაა: ექიმად გახდის → ექიმი გახდება; რაც შეეხება მეორე მნიშვნელობას, სავარაუდო ვნებითია გა-ი-ხდ-ებ-ა, რომელიც იშვიათად დაჩნდება და ისიც პოტენციალისის ფუნქციით. დამოწმებულია რელატიური ვარიანტებიც: ა) შვილი ექიმი გაუხდება / გაუხდა; ბ) ფეხსაცმელი გაეხდება / გაეხდა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ძველ ქართულში ორივე შემთხვევაში დაჩნდებოდა ჯდ-ძირი, ოღონდ სხვადასხვა გახმოვანებით: ჯად- (ი-

#69#

ჯად-ა მახული) და ჯედ- (გამო-ვ-ჯედ), პირველის მასდარი იყო გამოჯდ-ა, მეორისა — გამოჯდ-ომ-ა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. მნიშვნელობა „რამედ შექმნა“ ახალ ქართულში გამოიხატება ორი ფორმით: „ექიმი გახდა“ და „ექიმი გამოვიდა“. ეს არ

არის მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულში ჯდ-ომ-ა სწორედ „სვლას, განსვლას, გამოსვლას“ გამოხატავდა; აწმყო: ჯდ-ებ-ი-ს. ამდენად, ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის გამოსახატავად სინონიმური ფორმები იქნა გამოყენებული.

ზემოთ წარმოდგენილი ფორმები ღირსსაცნობია ფორმათწარმოებაზე მნიშვნელობის ზეგავლენის თვალსაზრისითაც.

ამ ფუძის მქონე გა-ზმნისწინიანი მოქმედებითი გვარის ზმნები ორი მნიშვნელობით დაჩნდება:

- გა-ხდ-ი-ს
1. რამედ (ან ვინმედ) აქცევს, გარდაქმნის;
 2. გააძრობს, მოაცილებს, მოაშორებს რასმე.

გამო-ზმნისწინიან ფორმას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა მოეპოვება:

გამო-ხდ-ი-ს — წურვით წვეს გამოიტანს, სითხეს მიიღებს ორთქლიდან.

მნიშვნელობათა ამგვარი დიფერენცირება არსებით ზეგავლენას ახდენს ამავე ფუძის მქონე სხვა ფორმათა წარმოებაზე.

როგორც აღინიშნა, ვნებითის წარმოებისას მოქმედებითი გვარის პირველი მნიშვნელობა შეისაბამებს უნიშნო ვნებითის ყალიბს: ექიმად (ექიმს) გახდის — ექიმი გახდება.

მეორე მნიშვნელობისათვის შესატყვისი ვნებითი ფორმები პრეფიქსიანებია: ფეხსაცმელს გახდის — ფეხსაცმელი გაეხდება. პოტენციალისის დანიშნულებით დაჩნდება გაიხდება ფორმაც.

გა-ხდ-ებ-ა ფორმა გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა („რამედ ან ვინმედ იქცევა, გადაიქცევა, გარდაიქმნება“), გამოხატავს სხვა მნიშვნელობასაც

(„დამჭლევდება“): უჭმელობისგან გახდება / გახდა, რომლის შესატყვისი მოქმედებითი გარდაუვალი ზმნის მასდარს იყენებს ფუძედ: უჭმელობა გა-ა-ხდომ-ებ-ს (შდრ.: გა-ხდ-ომ-ა). პარალელურად დამოწმებულია -უნ სუფიქსიანი ფუძეც: გა-ა-ხდუნ-ებ-ს.

სხვაობაა ქცევის ფორმათა წარმოების თვალსაზრისითაც.

მნიშვნელობისათვის „რამედ (ან ვინმედ) აქცევს“ მოქმედებითში ქცევის სამივე ფორმა გვაქვს (ექიმად გახდის / გაიხდის / გაუხდის), ვნებითში, შესაბამისად, ორი ფორმა (ექიმი (ექიმად) გახდება / გაუხდება).

მნიშვნელობისათვის „გააძრობს, მოაცილებს რასმე“ მოქმედებითში საარვისო და სათავისო ფორმები დაჩნდება (ფეხსაცმელს გახდის / გაიხდის), ვნებითში, ჩვეულებრივ, რელატიური ფორმა გამოიყენება (ფეხსაცმელი გაეხდება). როგორც ითქვა, დასაშვებია (ოღონდ იშვიათად გვხვდება) აბსოლუტური ფორმაც (გაიხდება) — პოტენციალისის დანიშნულებით.

მნიშვნელობისათვის „დაამჭლევებს, ხორცს დააყრევინებს“ მხოლოდ საარვისო ქცევის ფორმებია დადასტურებული როგორც მოქმედებითში, ასევე

#70#

ვნებითში: გაახდომებს || გაახდუნებს „დაამჭლევებს“ — გახდება „დამჭლევდება“.

მნიშვნელობათა შესაბამისად განსხვავებულად იწარმოება მასდარიც.

მნიშვნელობებისათვის „რამედ (ან ვინმედ) ქცევა“ და „დამჭლევება“ გამოიყენება -ომ სუფიქსიანი მასდარი: გა-ხდ-ომ-ა (ექიმად გახდომა; უჭმელობისაგან გახდომა); მნიშვნელობისათვის „გააძრომა, მოცილება რისამე“ გა-ხდ-ა (ფეხსაცმლის გახდა). ამავე პრინციპს მიჰყვება გამო-ზმნისწინიანი ფორმაც: გამო-ხდ-ა (არყის გამოხდა).

ასევე განსხვავებულია მიმღეობის ფორმათა წარმოებაც; შდრ.: ექიმი გა-მ-ხდ-არ-ა, უჭმელობისგან გა-მ-ხდ-არ-ი (იწარმოება III ტიპის ვნებითის შესაბამისი მ-არ კონფიქსიანი საობიექტო მიმღეობა: ხდ-ებ-ა → გა-მ-ხდ-არ-ი, ანალოგიურად ამისა: თბ-ებ-ა → გა-მ-თბ-არ-ი, დნ-ებ-ა → და-მ-დნ-არ-ი); მაგრამ: გა-ხდ-ილ-ი ფეხსაცმელი, პალტო (იწარმოება ე.წ. პრეფიქსიანი ვნებითის შესაბამისი -ილ სუფიქსიანი საობიექტო მიმღეობა: ი- / ე-ხდ-ებ-ა → გა-ხდ-ილ-ი, ანალოგიურად ამისა: ი- / ე-ზრდ-ებ-ა → გა-ზრდ-ილ-ი, ი- / ე-ხსნ-ებ-ა → გა-ხსნ-ილ-ი). გამო-ზმნისწინიანი ფორმისათვის ასევე -ილ სუფიქსიანი საობიექტო მიმღეობა დაჩნდება: გამო-ხდ-ილ-ი წყალი.

ეს ნიმუშები იმის საილუსტრაციოდ იყო დასახელებული, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ფორმათწარმოების სისტემა მნიშვნელობათა ცვლის კვალობაზე. ეს ეხება სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით რთული ზმნისწინის გამოყენების შემთხვევებსაც.

გა-რთმევა — იხმარება გამოთქმაში:
თავის გართმევა „რაიმე საქმის მოვლა,
გამდოლა“.

გამო-რთმევა — 1.
გამოწოდებულის აღება, მიღება:
„ბერიკაცს უნდოდ ხოხობის
გამორთმევა“; 2. წართმევა.

დაპირისპირება სრულია და დასტურდება ყველა დონეზე, ოღონდ ნაკლული რიგებით.

მიმღეობა:

გა-მ-რთმევი — გამო-მ-რთმევი

X — გამო-რთმეული

გა-სა-რთმევი — გამო-სა-რთმევი

გა-უ-რთმეველი — გამო-უ-რთმეველი.

პირიანი ფორმები:

დამოწმებულია მოქმედებითი გვარის ოდენ საარვისო ქცევის ფორმები: გა-ართმევს — გამო-ართმევს.

ვნებითი გვარი:

X — გამო-ი-რთმევა

გა-ე-რთმევა — გამო-ე-რთმევა.

#71#

ყველა დადასტურებული ფორმა უპირატესად გამოიყენება პოტენციალ-ფუნქციით.

გა-ვლენა — 1. ზემოქმედება, ვისიმე (ან რისამე) მოქმედება ვინმეზე (ან რამეზე); 2. ვისიმე დამორჩილება, დაქვემდებარება თავისი აზრებისა და შეხედულებებისადმი; 3. ზემოქმედების უნარი, ძალა; ავტორიტეტი.

გამო-ვლენა — 1. გამოჩენა, გამომჟღავნება; 2. დასანახავად ქცევა; იგივეა, რაც: გამოვლინება (ოღონდ **გამოვლენა** ფორმისათვის **ავლენს** ზმნაა საყრდენი, **გამოვლინება** ფორმისათვის — **ავლინებს** ზმნა).

დაპირისპირება სრულია, ოღონდ დაჩნდება მხოლოდ სახელზმნის დონეზე.

მასდარები: გა-ვლენა — გამო-ვლენა.

მიმღეობა:

გა-მ-ვლენელ-ი — გამო-მ-ვლენელ-ი

გა-ვლენილ-ი — გამო-ვლენილ-ი

X — გამო-სა-ვლენ-ი

გა-უ-ვლენელ-ი — გამო-უ-ვლენელ-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : გა-ვლენილ-ი ფორმით საობიექტო მიმღეობაა, სემანტიკით — სასუბიექტო, აღნიშნავს: „გავლენის მქონე“.

რაც შეეხება პირიან ფორმებს, ისინი შეუზღუდავად ეწარმოება გამო-ზმნისწინიან ფორმას (გამო-ა-ვლენს, გამო-უ-ვლენს... გამო-ავლინ-ა, გამო-უ-ვლინა...), ოღონდ არ შეინიშნება ი-პრეფიქსიანი წარმოება. გა-პრეფიქსიანი ფორმა დაჩნდება მხოლოდ პერიფრასტულ (აღწერით) პარადიგმაში: გავლენას ახდენს, გავლენა მოახდინა, გავლენა მოუხდენია...

და-კიდებული — რაც (ან ვინც) დაჰკიდეს ან დაეკიდა; ჩამოკიდებული, ჩამოხშული.

დამო-კიდებული — რაც სხვა რამისაგან გამომდინარეობს, რაც სხვასთან არის დაკავშირებული, სხვა რამით შეპირობებული, სხვას დაქვემდებარებული, არათავისთავადი, ვინც სხვას ექვემდებარება, არათავისუფალი (თავის მოქმედებაში).

დაპირისპირება სრულია (შდრ.: ჩა-კიდებულ-ი — ჩამო-კიდებულ-ი, რომლებიც მხოლოდ მიმართულებით განარჩევენ ერთსა და იმავე მოქმედებას).

დაპირისპირება დაჩნდება მხოლოდ მიმღეობების დონეზე.

და-კიდებულ-ი — დამო-კიდებულ-ი

და-სა-კიდებელი — X

და-უ-კიდებელ-ი — დამო-უ-კიდებელ-ი

და-კიდებულ-ი ფორმას მოეპოვება შესაბამისი მასდარი (და-კიდებ-ა) და პირიან ფორმათა სრული პარადიგმა (ჰ-კიდებ-ს, და-ჰ-კიდებ-ს...).

#72#

დამო-კიდებულ-ი ფორმას არა აქვს მასდარი, ხოლო უღვლილების პარადიგმა აღწერთია:

დამოკიდებული	არის ხდება
	იქნება გახდება
	იყო გახდა...

აღო“); 2. რამეში მოთავსებულის ა-
წყვეტა — დაბმულის მიერ თავის
გათავისუფლება, აშვება. ა-წყდომა —
რამეზე დამაგრებულისა ან
დაკერებულის აგლეჯა: „პერანგზე
ფოლაქის აწყვეტა || აწყდომა“. პირველი
წყვეტ-ს ზმნის მასდარია, მეორე —
წყდებ-ა ზმნისა.

ამო-წყვეტა — ამოხოცვა,
ამოჟლეტა, მოსპობა: „ნადირის
ამოწყვეტა“. იგივე მნიშვნელობა
აქვს ამოწყდომა ფორმასაც.
პირველი ამოწყვეტს ზმნის
მასდარია, მეორე — ამო-წყდება
ზმნისა.

დაპირისპირება სრულია და დაჩნდება ყველა დონეზე.

მიმღეობა:

ა-მ-წყვეტი — ამო-მ-წყვეტი

ა-წყვეტილი — ამო-წყვეტილი

ა-სა-წყვეტი — ამო-სა-წყვეტი

ა-უ-წყვეტელი — ამო-უ-წყვეტელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ზემოხსენებული ზმნები იმ ზმნათა წყებას განეკუთვნება, რომლებიც გვარებს მასდარის დონეზეც განარჩევენ: წყვეტ-ა (მოქმედებითი)— წყდომ-ა (ვნებითი). ეს სხვაობა თავისებურად დაჩნდება მიმდებარის დონეზეც: ა-წყვეტილ-ი — ამო-წყვეტილ-ი ოპოზიციის პარალელურად გვაქვს: ა-მ-წყდარ-ი — ამო-მ-წყდარ-ი.

ზმნის პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარი:

ა-ს-წყვეტს — ამო-წყვეტს

ა-ი-წყვეტს — ამო-ი-წყვეტს

ა-უ-წყვეტს — ამო-უ-წყვეტს

ვნებითი გვარი:

ა-ს-წყდება — ამო-წყდება

ა-უ-წყდება — ამო-უ-წყდება.

ამავე ზმნურ ფორმასთან დაჩნდება გა-ზმნისწინიც: გა-წყვეტ-ა || გა-წყდომ-ა, რომელიც პოლისემანტიკურია და კონტექსტის შესაბამისად ან ერთ მნიშვნელობას გამოხატავს („მაფის გაწყვეტა || გაწყდომა“), ან მეორე („ხალხის გაწყვეტა || გაწყდომა“). ასევე ბისემანტიკურია გამო-ზმნისწინიანი ვარიანტი (გამო-წყვეტ-ა).

#73#

ა-ხდა — სახურავის ართმევა, მოცილება

ამო-ხდა

—

იხმარება

და სათავსოს (ჭურჭლის) გახსნა.
გადატანითი მნიშვნელობით
გამოიყენება გამოთქმებში: ღირსების
ახდა, ნამუსის ახდა.

ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში:
სულის ამოხდა „სულის
ამორთმევა, მოკვლა“.

ა-ხდ-ა და ამო-ხდ-ა ფორმებიც იმ ზმნათა წყებას განეკუთვნება (წყვეტ-ა / წყდომ-ა ფორმათა მსგავსად), რომლებიც მასდარის დონეზეც განარჩევენ მოქმედებითსა და ვნებით გვარს (ახდა — ახდომა, ამოხდა — ამოხდომა), ოღონდ, იმავე წყვეტ-ა / წყდომ-ა ფორმათაგან განსხვავებით, ა-ხდომ-ა და ამო-ხდომ-ა ფორმათა სემანტიკური ოპოზიცია სხვაგვარია, ვინემ ა-ხდ-ა და ამო-ხდ-ა ფორმებისა:

ა-ხდომა — აცხადება, ასრულება;
სურვილის, ნატვრის, ნავარაუდების
შესრულება; იგივეა, რაც **ა-ხდენ-ა**.

ამო-ხდომა — იხმარება
გამოთქმაში: სულის ამოხდომა
„სულის ამოსვლა, სიკვდილი“.
როგორც ვნებითი მიემართება
მოქმედებითის ამო-ხდ-ა ფორმას.

ანუ: ამო-ხდ-ა და ამო-ხდომ-ა მოქმედებით-ვნებითია ერთმანეთის მიმართ:
სულს ამოხდის (მოქმედებითი) — სული ამოხდება (ვნებითი); შესაბამისად: სული
ამოხადა — სული ამოხდა.

ამის საპირისპიროდ, ა-ხდ-ა არის ა-ხდ-ი-ს ზმნის მასდარი (შდრ.: გა-ხდ-ა, გა-
ხდ-ი-ს), ა-ხდ-ომ-ა — ა-ხდენ-ა ზმნისა, თუმცა, რასაკვირველია, ამოსავალი როგორც
ა-ხდ-ა, ასევე ა-ხდენ-ა ფორმებისათვის არის ხდ- (ხად- ← ჯად-) ფუძე.

დაპირისპირება ორივე შემთხვევაში სრულია და თავს იჩენს ყველა დონეზე.

მიმდებარე:

ა) ა-მ-ხდელ-ი — ამო-მ-ხდელ-ი

ა-ხდილ-ი — ამო-ხდილ-ი

ა-სა-ხდელ-ი — ამო-სა-ხდელ-ი

ა-უ-ხდელ-ი — ამო-უ-ხდელ-ი

ბ) ა-მ-ხდომელ-ი — ამო-მ-ხდომელ-ი

ა-ხდომილ-ი — ამო-ხდომილ-ი

ა-სა-ხდომ-ი — ამო-სა-ხდომ-ი

ა-უ-ხდომელ-ი — ამო-უ-ხდომელ-ი

პირველ რიგს პარალელურად მოეპოვება ვარიანტები: [ა-მ-ხდენელ-ი], ა-ხდენ-ილ-ი, [ა-სა-ხდენ(ელ)-ი], ა-უ-ხდენელ-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ფორმები სისტემის შესაბამისად ივარაუდება, მაგრამ ფაქტობრივ ვერ დავადასტურეთ.

პირიანი ფორმები:

#74#

მოქმედებითი გვარი:

ა) ა-ხდის — ამო-ხდის

ა-ი-ხდის — X

ა-უ-ხდის — X

ბ) ივარაუდება ა-ხდენ-ა მასდარის შესაბამისი ფორმები:

ა-ხდენ-ს, *ა-ი-ხდენ-ს, *ა-უ-ხდენ-ს, რომლებიც ფაქტობრივ არ დასტურდება (შდრ.: ა-ხდენ-ს, რომელიც სულ სხვა ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს).

ვნებითი გვარი:

ა) ა-ე-ხდება — ამო-ხდებ-ა

ბ) ა-უ-ხდება — ამო-ხდებ-ა

შეპირისპირება სემანტიკურია. ა-ე-ხდებ-ა არის ე-პრეფიქსიანი რელატიური ვნებითი (ერთვალენტიანი ა-ი-ხდ-ებ-ა ლექსიკურად სულ სხვა მნიშვნელობას გამოხატავს), შესაბამისი ამო- ზმნისწინიანი ფორმა უნდა ყოფილიყო *ამო-უ-ხდებ-ა; იგივე ფორმა ივარაუდება ვნებითად ა-უ-ხდებ-ა ზმნისთვისაც, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში რეალურად არ გვხვდება.

თავისებურებაა ისიც, რომ ამო-ხდ-ა და ამო-ხდ-ომ-ა ერთმანეთს უნდა მიემართებოდეს როგორც მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები, რეალურად კი ორივე არის ვნებითი გვარის ამო-ხდ-ებ-ა ზმნის მასდარი. მიზეზი თითქოს ნათელია. ჩვეულებრივ, მოქმედებითსა და ვნებითს საერთო მასდარი აქვს (წერ-ს / ი-წერ-ებ-ა ზმნების მასდარია წერ-ა, მალ-ავ-ს / ი-მალ-ებ-ა ზმნებისა — მალ-ვ-ა). ამის კვალობაზე ამო-ხდ-ა მასდარად მოუდის როგორც ამო-ხდ-ი-ს (მოქმედებითი გვარის), ასევე ამო-ხდ-ებ-ა (ვნებითი გვარის) ზმნებს. იმავდროულად ზოგჯერ მოქმედებითსა და ვნებითს თავ-თავისი მასდარი მოეპოვება: წყვეტ-ს — წყვეტ-ა (მოქმედებითი), წყდ-ებ- → წყდ-ომ-ა (ვნებითი). ამის კვალობაზე, ამო-ხდ-ი-ს ზმნის მასდარად ივარაუდება ამო-ხდ-ა, ხოლო ამო-ხდ-ებ-ა ზმნისა — ამო-ხდ-ომ-ა. ასე რომ, ამ კერძო შემთხვევაში მოხდა ფორმოზრივ-სემანტიკური გადაკვეთა: ამო-ხდ-ებ-ა ორი სხვადასხვა მასდარის (ამო-ხდ-ა || ამო-ხდ-ომ-ა) შესაბამისი ფორმა აღმოჩნდა მაშინ, როცა მოქმედებითისათვის მხოლოდ ამო-ხდ-ა მასდარი დაჩნდება. ზემოხსენებული თავისებურებაც ამითაა შეპირობებული.

წა-გება — 1. ზარალის ნახვა (ვაჭრობაში); 2. დამარცხება (თამაშში); 3. დანაკლისი, ზიანი, ზარალი; 4. წაფენა, დაგება („ნაბდის წაგება“).

წამო-გება — წამოცმა რამეზე: „შამფურზე წამოგება“.

დაპირისპირება სრულია და დამოწმებულია ყველა დონეზე.

მიმღეობა:

წა-მ-გებ-ი — წამო-მ-გებ-ი

წა-გებულ-ი — წამო-გებულ-ი

წა-სა-გებ-ი — წამო-სა-გებ-ი

წა-უ-გებელ-ი — წამო-უ-გებელ-ი.

#75#

პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარი:

წა-ა-გებ-ს — წამო-ა-გებ-ს

X — წამო-ი-გებ-ს

X — წამო-უ-გებ-ს

ვნებითი მხოლოდ წამო-ზმნისწინიან ფორმებს მოეპოვება: წამო-ი-გებ-ა, წამო-ე-გებ-ა. წა- ზმნისწინიან ფორმებს ვნებითის მნიშვნელობით აღწერითი ფორმები მოუდის: წაგებული არის (→ წაგებული) / იქნება / იყო...

წა-ჭრა — წაკვეთა; „მცირე კიდურთ

წამო-ჭრა — 1. აღძვრა, დაყენება

მოკვეთა“ (სულხან-საბა ორბელიანი).

(საკითხისა);

2. სწრაფად

წამოდგომა, წამოხტომა.

დაპირისპირება სრულია და დაჩნდება ყველა დონეზე.

მიმდებარეობს:

წა-მ-ჰრელ-ი — წამო-მ-ჰრელ-ი

წა-ჰრილ-ი — წამო-ჰრილ-ი

წა-სა-ჰრელ-ი — წამო-სა-ჰრელ-ი

წა-უ-ჰრელ-ი — წამო-უ-ჰრელ-ი.

პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარი:

წა-ჰრი-ს — წამო-ჰრი-ს

წა-ი-ჰრი-ს — X

წა-უ-ჰრი-ს — X

ვნებითი გვარი:

წა-ი-ჰრებ-ა — წამო-ი-ჰრებ-ა

წა-ე-ჰრებ-ა — წამო-ე-ჰრებ-ა.

შდრ. ა- პრეფიქსიანი ფორმები: წა-ა-ჰრი-ს — წამო-ა-ჰრი-ს, რომლებიც ლექსიკურად არ არიან განსხვავებულნი (ანალოგიისათვის: გა-ჰრი-ს — გამო-ჰრი-ს, ჩა-ჰრი-ს — ჩამო-ჰრი-ს, შე-ჰრი-ს — შემო-ჰრი-ს...).

არის ფორმები, რომელთა შორის ლექსიკური დაპირისპირების ტენდენცია ახლავს იქნეს თავს. ერთ-ერთ მათგანს ნიმუშად ქვემოთ მოვიტანთ.

გა-ჯავრება — 1. ვისიმე წყრომის
გამოწვევა, გაბრაზება; 2. ვისიმე წაბადვა.

გამო-ჯავრება — ვისიმე წაბადვა
(დაცინვით ან ხუმრობით).

არსებული ნიმუშების მიხედვით, სემანტიკური თანხვედრა მართლაც დასტურდება: „ჩხიკვა ცხოველების **გაჯავრება იცის**“ (ვაჟა-ფშაველა); ამ კონტექსტში ამჟამად უფრო ბუნებრივია **გამოჯავრება**. თანამედროვე ქართულში აშკარად დაჩნდება ამ ორი ფორმის ლექსიკურად გამიჯვნის ტენდენცია: **გა-ჯავრება-ა** — „ვისიმე გაბრაზება“, **გამო-ჯავრება-ა** — „ვისიმე წაბადვა“.

#76#

რა თქმა უნდა, ბაზისური სემანტიკა ამ ფორმებისათვის საერთოა: **გაჯავრება** — „გაბრაზება“, **გამოჯავრება** — „გაბრაზება დაცინვით“, სემანტიკური ნიუანსის გაძლიერებამ გამოიწვია მათი შემდგომი დიფერენციაცია, რის გამოც **გაჯავრება** გააზრებული იქნა **გაბრაზება** ფორმის სინონიმად, **გამოჯავრება** — **წაბადვა** ფორმისა (ანუ: ეს ორი ფორმა სხვადასხვა სემანტიკურ ველში მოექცა).

სემანტიკური დაპირისპირების ტენდენცია თავს იჩენს ყველა დონეზე.

მიმდებარეობა:

გა-მ-ჯავრებელ-ი — გამო-მ-ჯავრებელ-ი

გა-ჯავრებულ-ი — გამო-ჯავრებულ-ი

გა-საჯავრებელ-ი — გამო-საჯავრებელ-ი

გა-უ-ჯავრებელ-ი — გამო-უ-ჯავრებელ-ი.

პირიანი ფორმები:

მოქმედებითი გვარისა:

გა-ა-ჯავრებ-ს — გამო-ა-ჯავრებ-ს

გა-ი-ჯავრებ-ს — X

გა-უ-ჯავრებ-ს — X

ვნებითი მხოლოდ გა-ზმნისწინიან ფორმებს მოეპოვება: გა-ჯავრდებ-ა, გა-უ-ჯავრდებ-ა.

არსებობს მდგომარეობითი **ჯავრობ-ს** ფორმაც, მაგრამ მხოლოდ „ბრაზობს“ მნიშვნელობით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ვნებითი დეპონენსურია: გა-ჯავრ-დ-ებ-ა ფორმით - დ სუფიქსიანი ვნებითია, ფუნქციურად — აქტიურ სემანტიკას გამოხატავს. შესაბამისად, გა-ჯავრებულ-ი ისაა, ვინც გააჯავრეს, მაგრამ ამ ფორმით შესაძლოა სასუბიექტო მიმღეობის სემანტიკაც იქნას გამოხატული (შდრ.: გა-მარჯვებულ-ი რომელიც ანალოგიურია ფორმობრივადაც და სემანტიკურადაც).

* * *

ვაანალიზებთ ლექსიკურად ნაწილობრივ დაპირისპირებულ ფორმებს. იგულისხმება, რომ ამ რიგის ორ ფორმას აქვს როგორც საერთო ლექსიკური მნიშვნელობა (ოღონდ მიმართულების თვალსაზრისით დაპირისპირებული), ასევე განსხვავებული.

ა-გდება — 1. ზევით ასროლა; 2. იძულებით წამოგდება, აყენება: „ადგილიდან აგდება“; 3. გამასხარავება,

ამო-გდება — 1. ზევით I და II პირისაკენ ამოსროლა; 2. ამოთხრა, ამოძირკვა: „ეკალ-ბარდის

დაცინვა: „აბუჩად აგდება“...

ამოგდება“; 3. მოსპობა: „ოჯახის
ამოგდება“.

საერთოა პირველი მნიშვნელობა („ზევით ასროლა“), რომელიც იმავდროულად
ბაზისურია. სხვა მნიშვნელობანი ერთმანეთისაგან გამომდინარეობს; მაგალითად,
„იძულებით აყენება, წამოგდება ადგილიდან“ → „ამოთხრა, ამოძირკვა“ →
„მოსპობა“...

#77#

ა-ტეხა — 1. მოტეხით აცლა, ამტვრევა:
„პურს ქერქს აატეხს“; 2. აღძვრა,
გამოწვევა, დაწყება: „ჩხუბის ატეხა“; 3.
დამაკების (დაგრილების) დროის
დადგომა: „ატეხილი ძროხა“.

ამო-ტეხა — ამომტვრევა:
„ყინულის ამოტეხა“.

აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა რთულ ზმნისწინს (ამო-) კი არა აქვს
დაკისრებული სიტყვათწარმოებითი ფუნქცია, არამედ მარტივზმნისწინიანი ფორმა
აღმოჩნდა პოლისემიური, ხოლო რთულზმნისწინიანი ვარიანტი ამ რამდენიმე
მნიშვნელობათაგან მხოლოდ ერთ-ერთს დაურჩა.

ა-ჭრა — 1. რამეზე რისამე მოკვეთა,
მოჭრა: „აკიდოს აჭრა“; 2. ამჟავების გამო
რძის წახდენ: „რძის აჭრა“; 3. სწრაფად
ასვლა, არბენა, ავარდნა: „რაში
გორაკზე აიჭრა“.

ამო-ჭრა — 1. რამეზე რისამე
ამოკვეთა: „კანზე ხორცმეტის
ამოჭრა“; 2. ქვემოდან ზემოთ
სწრაფად ამოსვლა, ამორბენა:
„კიბეზე სულმოუთქმენლად
ამოიჭრა || ჭრით ამოსვლა“.
„კბილმა ამოსჭრა“; 3. ამოვარდნა

(ქარისა...): „ქარი ამოიჭრა“; 4.

მტკიცე განზრახვა, მონდომება:

„გულში ამოჭრა“.

სემანტიკური გადახრები უმეტეს შემთხვევაში გადააზრიანების შედეგია: I. „სწრაფად ასვლა, არბენა, ავარდნა“ → „ქარის ამოვარდნა“; II. „რისამე ამოკვეთა“ → „გულის ამოჭრა“ (სემანტიკური ასოციაცია: ნაჭდევი, როგორც სამახსოვრო) და მისთ.

რაც შეეხება მიმართებას: „ჭრა, კვეთა“ → „სწრაფი ასვლა, არბენა“ მეტაფორული გადააზრიანების შედეგი ჩანს (შდრ. შემო-ჭრ-ა, რომელიც უპირატესად სწორედ შემოვარდნას, სწრაფ, მკვეთრ შემოსვლას აღნიშნავს).

„რძის აჭრა“ უკავშირდება გააზრებას „რძის აჭრელება“. ივარაუდება კიდევაც, რომ ჭრ-ელ-ი ნაზმნარი სახელია, რომლისთვისაც ამოსავალია ჭრ-ი-ს ზმნა (ა. ჭინჭარაული).

ა-წყობა — 1. ქვემოდან ზემოთ მრავალი საგნის ატანა, შელაგება, შეწყობა ზევით; 2. ნაწილების, დეტალების შეერთებით გამთლიანება; 3. სასტამბო ნიშნების შერჩევა-შეერთება რაიმე ტექსტის დასაბეჭდად; 4. საკრავის მომართვა ხმების შესატანხმებლად.

ამო-წყობა — ქვემოდან ზემოთ || და II პირის მიმართულებით მრავალი საგნის ამოატანა, ამოლაგება, შემოწყობა.

საერთოა მხოლოდ ერთი (პირველი) მნიშვნელობა, რომელიც იმავდროულად ერთადერთი ჩანს ზმო-წყობ-ა ფორმისათვის. ამის გამო, ამ შემთხვევაში თავისებური ვითარება იქმნება: რთულ ზმნისწინს კი არა აქვს დაკისრებული სიტყვათწარმოებითი ფუნქცია, არამედ მარტივზმნისწინიანი ფორმა

#78#

აღმოჩნდა პოლისემიური, ხოლო რთულზმნისწინიანი ვარიანტი ამ მნიშვნელობათაგან მხოლოდ ერთ-ერთს (პირველს) შეესაბამება.

გა-კვლევა — გზის გაგნება, პოვნა.

გამო-კვლევა — 1. გზის გამოგნება, პოვნა; 2. კვლევა-ძიების ჩატარება რისამე მეცნიერული შესწავლა; 3. სამეცნიერო შრომა; 4. გამოძიება, გამორკვევა, გაგება.

საერთო აღმოჩნდა ერთი მნიშვნელობა („გზის გაგნება“...), ყველა სხვა მნიშვნელობა დამახასიათებელია მხოლოდ გამო-კვლევ-ა ფორმისათვის (შდრ.: გა-რკვევ-ა — გამო-რკვევ-ა, რომლებიც ლექსიკურად იდენტურ მნიშვნელობას გამოხატავენ).

გა-დგომა — 1. განზე, განცალკევებით დადგომა; 2. ჩამოშორება, გამოთიშვა, თავის არიდება; 3. ღალატი.

გამო-დგომა — 1. გამოსვლა და დადგომა („აივანზე ამოდგომა“); 2. უკან გამოდევნება, გამოკიდება; 3. ვარგისობა („საქმეში გამოდგომა“).

გადამკვეთია პირველი მნიშვნელობა, დანარჩენ შემთხვევებში სხვაობა სრულია.

მიმღეობა:

გა-მ-დგარ-ი — გამო-მ-დგარ-ი...

პირიანი ფორმები:

მოქმედებით გვარში სხვა ძირია გამოყენებული:

გა-აყენებ-ს — გამო-აყენებ-ს

X — გამო-იყენებ-ს

გა-უყენებ-ს — X

ვნებითი:

გა-დგება — გამო-დგება

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სემანტიკური გადასვლები დაჩნდება ქცევის დონეზეც; შდრ.: გა-დგებ-ა — გამო-დგებ-ა და გა-უ-დგებ-ა — გამო-უ-დგებ-ა. თავის მხრივ გა-უ-დგებ-ა ფორმა ბისემიურია: ა) განზე გაუდგება — გადატანით: უღალატებს; ბ) გზას გაუდგება (შდრ.: გზას დაადგება). ამის კვალობაზე, გა-დგებ-ა — გა-უ-დგ-ებ-ა ერთმანეთის მიმართ გრამატიკული კორელატებია მაშინ, როცა „გაუდგება“ აღნიშნავს „განზე გადგება“, მაგრამ გა-უ-დგ-ებ-ა ლექსიკურად უპირისპირდება გა-დგ-ებ-ა ფორმას მაშინ, როცა გამოიხატება მნიშვნელობა: „გზას დაადგება“. ანალოგიური მიმართებები დაჩნდება მოქმედებითი გვარის ფორმებშიც: გა-ა-ყენებ-ს — გამო-ა-ყენებ-ს და გა-უ-ყენებ-ს — გამო-უ-ყენებ-ს.

#79#

გა-თხოვება — 1. ვინმესთვის ქალის ცოლად გატანება; ცოლად გაყოლა; 2. დროებით გამოსაყენებლად მიცემა რისამე: „წიგნი გაათხოვა“.

გამო-თხოვება — 1. ვინმესთვის ქალის ცოლად გამოტანება; ცოლად გამოყოლა; 2. ქმართან განქორწინებული ქალის მამისეულ ოჯახში დაბრუნება; 3.

გამომშვიდობება.

გა-თხოვებ-ა ფორმა მიმართულებით განსხვავებულ ორ ფორმას იგუება, ოღონდ ეს ფორმები სემანტიკურად გაიმიჯნა: ორივე ფორმით სააქეთო მიმართულებაა გამოხატული, მაგრამ პირველ შემთხვევაში „ქორწინების“ სემანტიკა გვაქვს, მეორე შემთხვევაში — „განქორწინების“:

გა-თხოვებ-ა	გამო-თხოვებ-ა „ცოლად გამოტანება“
	გამო-თხოვებ-ა „განქორწინება“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ძველ ქართულში ქორწინებ-ა „შეუღლებას“ ნიშნავდა, გან-ქორწინებ-ა — „გათხოვებას“. ამჟამად გან-ქორწინებ-ა მხოლოდ ცოლ-ქმრის გაყრას, გაცილებას გამოხატავს. ასე რომ, ზმნისწინიან ფორმათა სემანტიკური გადააზრიანება ამ შემთხვევაში საერთო მოვლენაა ძველი და ახალი ქართულისათვის.

სხვაობა დაჩნდება ყველა დონეზე, ოღონდ ზოგი თავისებურებებით:

სასუბიექტო მიმღეობა გვაქვს მხოლოდ სასუბიექტო მიმღეობის მეორე მნიშვნელობისათვის („დროებით გამოსაყენებლად მიცემა რისამე“): გა-მ-თხოვებელ-ი (წიგნისა).

საობიექტო მიმღეობები იწარმოება მნიშვნელობით: „ცოლად გატანება, გაყოლა“:

გა-თხოვებულ-ი — გამო-თხოვებულ-ი

გა-სა-თხოვებელ-ი — გამო-სა-თხოვებელ-ი...

მოქმედებითი გვარის პირიან ფორმებში დამოწმებულია მხოლოდ საარვისო ქცევა:

გა-ა-თხოვებ-ს — გამო-ა-თხოვებ-ს

ვნებით გვარში დაჩნდება როგორც საარვისო, ასევე სასხვისო:

გა-თხოვდებ-ა — გამო-თხოვდებ-ა

გა-უ-თხოვდებ-ა — გამო-უ-თხოვდებ-ა.

ასეა მაშინ, როცა გამოიხატება მნიშვნელობა: „ცოლად გატანება, გაყოლა“.

სხვაგვარია პირიან ფორმათა წარმოება მაშინ, როცა „გამოთხოვება“ აღნიშნავს „გამომშვიდობებას“: მოქმედებითი (გამო-ა-თხოვებ-ს მნიშვნელობით: „გამომშვიდობებს“) ფრიად იშვიათი გამოყენებისაა, შესაბამისი ვნებითი კი ოდენ ე-პრეფიქსიანია: გამო-ე-თხოვებ-ა.

გა-თხოვებ-ა — გამო-თხოვებ-ა („ცოლად გატანა, გაყოლა“) ოპოზიციის პარალელურად დასტურდება: გა-თხოვ-ა — გამო-თხოვ-ა; შდრ.: ს-თხოვ-ს; მოქმედებითია: გა-ა-თხოვ-ს — გამო-ა-თხოვ-ს, ვნებითი აქაც -დ სუფიქსიანია: გა-თხოვდებ-ა — გამო-თხოვდებ-ა.

#80#

მიმღეობა:

გა-მ-თხოვ-ი — გამო-მ-თხოვ-ი

გა-თხოვილ-ი — გამო-თხოვილ-ი

გა-სა-თხოვ-ი / გა-სა-თხოვ-არ-ი — X

გა-უ-თხოვარ-ი — X

გა-რჩევა — 1. მოშორება, გაცლა
(ქერქისა, ნაჭუჭისა; შენარევისა);

გამო-რჩევა — 1. არჩევით,
შერჩევით გამოკრება, გამოყოფა;

გასუფთავება (შენარევისაგან, სარეველასაგან); 2. შემჩნევა, დანახვა; ამოცნობა, გაგება; 3. განხილვა, გამოკვლევა, გარკვევა, გამოძიება, განსჯა, გაანალიზება.

უკეთესის არჩევა; აქედან: **გამორჩევით** „განსაკუთრებით“; 2. გარჩევა, განსხვავება; 3. გამოკლება, მოწყვეტა: „სწორებში გამორჩევასა ისევ სიკვდილი სჯობია“ (ბაჩანა).

ფუძეა რჩ-: ძველი ქართული: შთ- / შდ- (და-შთ-ომ-ა, და-შდ-ომ-ა), რომელიც რედუცირებულია (შედ- → შდ- / შთ-): „და-ვ-შედ-ი-თ მცირედნი მრავალთაგან“⁵. რჩ- ფუძე მრავალ ფორმაშია დამოწმებული: რჩ-ებ-ა, რჩ-ომ-ა, გა-რჩ-ევ-ა, შე-რჩ-ევ-ა, და-რჩ-ენ-ა, გამო-რჩ-ენ-ა, გამო-რჩ-ომ-ა... ძველი ქართული: რჩ-ევ-ა, რჩ-ეულ-ი; ასევე: და-შდ-ომ-ა, და-შდ-უნ-ებ-ა; და-შთ-ომ-ა, და-შთ-ინ-ებ-ა... სემანტიკური მრავალფეროვნება საერთო, ბაზისური მნიშვნელობით არის შეპირობებული: ამოსავალია „დარჩენის, დარჩომის“ მნიშვნელობა, აქედან: „გარჩევა, გამორჩევა“ (ანუ: რაღაცის დატოვება, დარჩენა; გამოცალკევება სხვათაგან) → „არჩევა, ამორჩევა“ (უკეთესის გამოკრება, გამოყოფა) → „შემჩნევა, ამოცნობა“ (იმისა, რაც გამოსაკრებია, გამოსაყოფია) → განხილვა, გარკვევა“ (კარგისა და ცუდის განსხვავება) → „გაანალიზება“... თავის მხრივ, „დარჩენა“ შეპირობებს მნიშვნელობებს: „რჩენა“, „გამორჩენა“ და მისთ.

ფუძის ამგვარი პოლისემიურობა განაპირობებს გა- და გამო- ზმნისწინიანი ფორმების ლექსიკურ იდენტურობასაც და სხვაობასაც, რაც ყველა სისტემაში (სახელზმნებსა თუ პირიან ფორმებში) დაჩნდება.

გა-წელვა — 1. გაჭიმვა, გაზიდვით გაწევა; 2. დროის გაყვანა, გაჭიანურება.

გამო-წელვა — 1. გამოჭიმვა, გაზიდვით გამოწევა; 2. გამოწვლა,

გამოშიგვნა; შიგნეულის,
ნაწლავების გამოღება.

ბაზისურია „გაჭიმვის“ სემანტიკა, რითაც თანხვდება **გა-წელვ-ა** და გამო-წელვა ფორმათა პირველი მნიშვნელობები. გამო-წელვ-ა ფორმის მეორე მნიშვნელობა შემდგომად განვითარებული: ნაწლავების გამოღება, გამოშიგვნა ხდება შიგნიდან გარეთ გამოჭიმვით, გამოწევით.

სემანტიკური თანხვედრა-განსხვავება დაჩნდება ყველა დონეზე.

⁵ თ . ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973

#81#

გა-სწორებ-ა — გაფუჭებულის,
წახდენილის, ცუდის, მცდარის
გამოკეთება; მოგვარება, მოწესრიგება.

გა-მო-სწორებ-ა — 1.
გაფუჭებულის, წახდენილის,
ცუდის გამოკეთება; მოგვარება,
მოწესრიგება; 2. ვინმეს (უწესოს,
თაღლითის...) წესიერ
პიროვნებად გახდომა.

გა-სწორებ-ა და **გამო-სწორებ-ა** (პირველი მნიშვნელობით) ზოგ კონტექსტში თავისუფლად მონაცვლეობს, მაგრამ გვაქვს ისეთი კონტექსტებიც, სადაც უპირატესობა ეძლევა ერთ-ერთ მათგანს; მაგალითად, ითქმის: „ტექსტის გასწორება“, „თვალის გასწორება“ („გამოსწორება“ ამ შემთხვევაში არ იხმარება). შემდეგ: „შეცდომის გასწორება“ და „შეცდომის გამოსწორება“ სემანტიკურად განსხვავებული კონტექსტებია: პირველი, როგორც წესი, კორექტურის (მცდარად აწყობილი ტექსტის, ნაწერში შემჩნეული ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომების, უსწორო

ფორმების) გასწორებას გულისხმობს, მეორე — უპირატესად — უზნეო ან უმართებულო საქციელის, არაკორექტული ნათქვამის (...) გამოკეთებას. სემანტიკურად ასევე განსხვავებული კონტექსტებია „გზის გასწორება“ და „გზის გამოსწორება“, „ნიშნის გასწორება“ და „ნიშნის გამოსწორება“.

ასე რომ, ლექსიკური დიფერენციაციისათვის საფუძველი იმთავითვე არსებობდა, რაც რეალიზდა გამო-სწორებ-ა ფორმის მეორე მნიშვნელობით.

გა-ყოფა — 1. რისამე შიგნიდან გარეთ გაწევა, გაშვება; რამეში გაჩრა, გაყრა; 2. დანაწილება, ნაწილებად ქცევა; აქედან: არითმეტიკული მოქმედების ტერმინი.

გამო-ყოფა — 1. რისამე შიგნიდან გარეთ (I და II პირის მიმართულებით) გამოწევა, გამოშვება; რამეში გამოჩრა, გამოყრა; 2. მთელიდან (ზოგადიდან) ნაწილის (კერძოს) გამოთიშვა, გამოცალკეება; 3. მრავალთაგან გამორჩევა, შერჩევა; განსხვავებით წარმოდგენა, თვალსაჩინოდ ქცევა: „სათაურის გამოყოფა“; 4. მთელიდან გამოცალკეებულის (სათავსოს...) ვინმესთვის განკუთვნება, მიჩენა: „მდგმურისათვის ოთახის გამოყოფა“; 5. რაიმედან თხევადის გამოტანა, გამოდენა: „ნერწყვის გამოყოფა“, „არყის ხე ტკბილ წვენს გამოყოფს“.

მნიშვნელობათა საფეხურეობრივი ცვლილება ამ შემთხვევაში თვალნათლივ ჩანს; მაგალითად, გამო-ყოფ-ა ფორმის სემანტიკური გადასვლები სქემაზე ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

„რისამე შიგნიდან გარეთ	ა) „მთელიდან ნაწილის გამოცალკევება“
გამოწევა, გამოშვერა“	ბ) მრავალთაგან გამორჩევა“

ორივე მნიშვნელობა ბაზისური სემანტიკით არის შეპირობებული: „რისამე შიგნიდან გარეთ გამოწევა, გამოშვერა“, აქედან: „დანაწილება, ნაწილებად

#82#

ქცევა“, რაც საფუძველს უქმნის მნიშვნელობებს: „მთელიდან გამოცალკევება“ და „მრავალთაგან გამორჩევა“ (თავის მხრივ, „გამორჩევა“ ნაირსახეობაა, უკეთ: გადააზრიანებაა მნიშვნელობებისა: „გამოცალკევება“).

შემდგომი საფეხური:

ა) „მთელიდან ნაწილის გამოცალკევება“ → (I) „მთელიდან გამოცალკევებულის ვინმესთვის განკუთვნება, მიჩენა“ და (II) „რაიმედან თხევადის გამოდენა“ (როგორც მთელის შემადგენელი ნაწილისა). ორივე შემთხვევაში არსებითად მნიშვნელობის დავიწროებასთან გვაქვს საქმე, რადგან ზოგადი („მთელიდან ნაწილის გამოცალკევება“) კონკრეტდება ერთ შემთხვევაში განკუთვნების სემანტიკით, მეორე შემთხვევაში გამონაყოფის რაობის აღნიშვნით.

ბ) „მრავალთაგან გამორჩევა, შერჩევა“ → „რისამე განსხვავებით წარმოდგენა, თვალსაჩინოდ ქცევა“ (რადგან ის, რაც სხვათაგან გამოირჩევა, ამით განსხვავებულიცაა დანარჩენთაგან).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : აქ ნიმუშად დასახელებულია ყ-ოფ- ფუძის რამდენიმე მნიშვნელობა, რითაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ

ამოიწურება მისი სემანტიკური ნაირსახეობა; გარდა ზემოხსენებულისა
იხ. აგრეთვე: ყოფ-ნ-ა, ყოფ-ნ-ი-ს...

გა-ყვანა — 1. შიგნიდან გარეთ წაყვანა
(ცოცხალი არსებისა); 2. გაწვევა, გახმობა;
3. გაკეთება, გაჭრა (გზისა, არხისა...); 4.
თავისის მიღწევა („თავისი აზრის
გაყვანა“).

გამო-ყვანა — 1. შიგნიდან გარეთ I
და II პირის მიმართულებით
წამოყვანა (ცოცხალი არსებისა); 2.
გამოწვევა, გამოხმობა; 3.
გაკეთება, გაჭრა („არხის
გამოყვანა“); 4. დახსნა, თავის
დაღწევა („ხალხის გამოყვანა
სიღარიბიდან“); 5. გამოტანა,
დადგენა („დასკვნის გამოყვანა“);
6. გამოსახვა („ასოების,
ჩუქურთმების გამოყვანა“); 7.
მიჩნევა, გამოცხადება
(„დამნაშავედ გამოყვანა“); 8.
გაწვრთნა, გამოზრდა, გაწაფვა
(„შვილის კაცად გამოყვანა ვალთა
მშობლებისა“); 9. ამოხსნა,
გამოანგარიშება („ამოცანის
გამოყვანა“); 10. შესანახად
დამზადებული („ლორის
გამოყვანა“). 11. ტანზე კარგად
მორგება („წელში კაბის
გამოყვანა“).

ამ შემთხვევაში გა- და გამო- ზმნისწინიან ფორმათა სამი სახის სემანტიკური ურთიერთმიმართება გვაქვს:

ა) განირჩევა გრამატიკული (მიმართულების) მნიშვნელობები:

ბავშვის ქუჩაში გაყვანა — ...გამოყვანა

გზის გაყვანა — ...გამოყვანა

ჯარის საომრად გაყვანა — ...გამოყვანა.

#83#

ბ) განირჩევა გრამატიკული (მიმართულების) მნიშვნელობები, მაგრამ იმავდროულად დაჩნდება მიდრეკილება ლექსიკური თვალსაზრისით გამიჯვნისაკენ:

საბჭოში ახალი წევრის გაყვანა (შეყვანა)— საბჭოდან წევრის გამოყვანა (გამოწვევა, გამორიცხვა).

საფუძვლად ამგვარ სემანტიკურ დიფერენციაციას, რა თქმა უნდა, ურთიერთსაპირისპირო მიმართულების გამოხატვა უდევს, რაც ფორმათწარმოების (გრამატიკულ მნიშვნელობათა გამიჯვნის) სფეროს განეკუთვნება; მაგრამ იმის გამო, რომ ამგვარ კონტექსტში ზემოხსენებული ზმნები არსებითად გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული, თავს იჩენს ლექსიკური დაპირისპირების ტენდენციაც, რაც უპირველეს ყოვლისა სხვადასხვა სემანტიკურ (სინონიმურ) რიგში ამ ფორმათა მოქცევით ვლინდება: „საბჭოში შეყვანა“ იგივეა, რაც „საბჭოს წევრად არჩევა“, „საბჭოში მოხმობა, მოწვევა“, ხოლო „საბჭოდან გამოყვანა“ იგივე, რაც „საბჭოდან გაშვება, დათხოვნა, გარიცხვა, გაძევება“. მიმართულებით დაპირისპირებულმა ფორმებმა ლექსიკური განსხვავების დანიშნულება შეიძინეს. ეს ჩანს იმითაც, რომ მიმართულებით დაპირისპირება ხდება უკვე ერთი მნიშვნელობის ფარგლებშიც: „საბჭოდან გაყვანა“ — „საბჭოდან გამოყვანა“ ლექსიკურად ერთი და

იგივეა, ხოლო სხვაობა გრამატიკულია. რასაკვირველია, აქ მხოლოდ სემანტიკურ გადააზრიანებასთან არა გვაქვს საქმე. სემანტიკურ გადააზრიანებას უფრო სიღრმეული ცვლილებებიც მოჰყვა; კერძოდ, სემანტიკური სხვაობის გამოხატვა კოლიგაციის (მორფოსინტაქსურ) პრინციპს დაეკისრა, როცა რომელიმე ფორმის მნიშვნელობა მასთან სემანტიკურად შეხამებული მეორე ფორმის საშუალებით ამოიცნობა. ჩვენს შემთხვევაში ლოკალობის (ადგილის გარემოების) გამომხატველი წინადადების წევრის ფორმა განსაზღვრავს შემასმენლის (ზმნის) მნიშვნელობას: -ში თანდებულიან ფორმასთან **გა-ყვან-ა** „წევრად არჩევას, გაწევრიანებას ნიშნავს“, -იდ-ან დაბოლოებიან ფორმასთან — „დათხოვნას, გაძევებას“; ამიტომაც **საბჭო-დ-ან** ფორმასთან როგორც **გა-ყვან-ა**, ასევე **გამო-ყვან-ა** ლექსიკურად იდენტურია და მხოლოდ გრამატიკული ფუნქციით სხვაობს ისევე, როგორც, მაგალითად, „გზის გა-ყვან-ა“ — „გზის გამო-ყვან-ა“).

დ) იმავედროულად დაჩნდება შემთხვევები, როცა რთული ზმნისწინი იმთავითვე განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის გამოსახატავად ჩანს გამოყენებული: „ამოცანის გამო-ყვან-ა“, „ვაზის ახალი ჯიშის გამო-ყვან-ა“, „თავის უდანაშაულოდ გამო-ყვან-ა“ და მისთ. ამგვარი ფორმების საპირისპიროდ არცა გვაქვს და არც ივარაუდება მარტივ (გა-) ზმნისწინიანი ვარიანტი.

გა-ტანა — 1. შიგნიდან გარეთ წაღება, ზიდვა; გასაყიდად წაღება; 2. გახმაურება, გამჟღავნება (ამბისა), გავრცელება; 3. მიხმარება, მიშველება, მხარში ამოდგომა; 4. რაიმეს (მანქანის, ეტლის...) ქვეშ მოქცევა და გასრესა, გადაჰყვლეტა („მანქანამ კაცი გაიტანა“); 5. რაიმეს ბოლომდე მიყვანა,

გამო-ტანა — 1. შიგნიდან გარეთ (I და II პირის მიმართულებით) წამოღება, გამოზიდვა; 2. გამოსხმა, გამობმა (კვირტისა, ყვავილისა, ნაყოფისა...); 3. მიღება და გამოცხადება (დადგენილებისა, გადაწყვეტილებისა, განაჩენისა...):

გასრულება, დაგვირგვინება („საქმის
გატანა“, „ლე-

„მსჯავრის გამოტანა“; 4.
გამოაშვარავენ, გაცხადება:
„შარაზე გამოტანა“, „დღის (მზის)
სინათლეზე გამოტანა“...

#84#

ლოს გატანა“, „სვის გატანა“, „კვლის
გატანა“). დაჩნდება ფრაზეოლოგიურ
გამოთქმაში თავის გატანა („თავის
რჩენა“).

აქ ორგვარი სემანტიკური ურთიერთმიმართება დასტურდება:

ა) ხდება დაპირისპირება მიმართულების მიხედვით: „ბარგის გატანა“ —
„ბარგის გამოტანა“. ასეთი მიმართება დაჩნდება თვით ფრაზეოლოგიურ
გამოთქმებშიც კი:

სააშკარაოზე გატანა — ... გამოტანა

საკითხის თათბირზე გატანა — ... გამოტანა

კვლის გატანა — ... გამოტანა.

ბ) რამდენიმე შემთხვევაში დაპირისპირება ლექსიკურ სხვაობას იძლევა
(საკონტროლო საშუალებად სინონიმურ რიგებს ვიყენებთ): „მსჯავრის გამოტანა“,
„კვირტის გამოტანა“ ტიპის შესიტყვებებში გამო- ზმნისწინს არსებითად
სიტყვათწარმოებითი ფუნქცია აკისრია.

გ) დაჩნდება ამ რიგის მიმართებანიც, როცა გრამატიკული და ლექსიკური
მნიშვნელობების გარჩევა ოდენ კონტექსტით ხერხდება:

„კაცი გაიტანა“: თუ აქ იგულისხმება „კაცი გასრისა, გაჟყლიტა“, მაშინ ზმნას არ ექნება გამო- ზმნისწინიანი შესატყვისი; მაგრამ თუკი ივარაუდება „მიცვალებულის გატანა (საკაცით, კუბოთი...)“, მაშინ მის გრამატიკულ კორელატად დაჩნდება „გამოტანა“ (მიცვალებული საკაცით გაიტანეს — ...,გამოიტანეს“).

გა-ღება — 1. დახურულის, დაკეტილის გახსნა: „კარი გააღო“; 2. გახსნა, გამართვა, მოწყობა, დაარსება: (სახელოსნო და მისთ.); 3. გაცემა („სისხლი გაიღო“); გადახდა („ბანკმა ფული გაიღო“).

გამო-ღება — 1. დახურულის, დაკეტილის (ოდნავ) გაღება I ან II პირის მიმართულებით („კარი გამოაღო“); 2. რამეში მოთავსებულის აღება და გამოტანა („წიგნი კარადიდან გამოიღო“); 3. გამოტანა, გამოსხმა („ნაყოფის გამოღება“); 4. გაცემა, გადახდა, შეწევნა („თანხის გამოღება“); 5. გარჯა, შრომა („ხელის გამოღება“).

ორი მნიშვნელობა („რამეში მოთავსებულის აღება-გამოტანა“ და „გარჯა, შრომა“) არის სპეციფიკური გამო-ზმნისწინიანი ფორმისათვის.

გა-აქვს — 1. შიგნიდან გარეთ ეზიდება; 2. რაიმე ნიშან-თვისებას ავლენს, რაიმე ახასიათებს („ლაპლაპი გააქვს“); 3. მიზანს აღწევს („მარტო მცოდნეს გააქვს ამ ცხოვრებაში“).

გამო-აქვს — 1. შიგნიდან გარეთ I და II პირის მიმართულებით ეზიდება; 2. რამეში მოთავსებულს იღებს („წიგნი კარადიდან გამოაქვს“); 3. ისხამს, გამოიბამს

(კვირტი გამოაქვს“); 4. დაადგენს, მიიღებს და გამოაცხადება („განაჩენი გამოაქვს“); 5. ამჟღავნებს, საქვეყნოდ აცხადებს („დღის სინათლეზე გამოაქვს“).

#85#

დაჩნდება ორგვარი სემანტიკური დაპირისპირება:

ა) გრამატიკული — აღინიშნება ურთიერთსაპირისპირო მიმართულება: „ავეჯი გააქვს“ — „ავეჯი გამოაქვს“.

ბ) ლექსიკური, ოღონდ (გა-ტანა — გამო-ტანა ფორმათა მსგავსად) კონტექსტის შესაბამისად ხდება კოორდინაცია გრამატიკული ნიშნით წარმოდგენილ ოპოზიციასთან. მაგალითად, თუ დადგენილება (გადაწყვეტილება, დასკვნა, განაჩენი...) დოკუმენტად ქცეული ფაქტია, მაშინ გა- და გამო- ზმნისწინიანი ფორმები ოდენ გრამატიკული მნიშვნელობების (მიმართულების აღნიშვნით) სხვაობს: „სხდომაზე დადგენილება გააქვს“ — ... „გამოაქვს“ (=„დადგენილებას აცხადებს“); მაგრამ თუკი დადგენილების (გადაწყვეტილების...) ჩამოყალიბების პროცესი, შედგენის სტადია იგულისხმება, დაჩნდება ოდენ გამო- ზმნისწინიანი წარმოება: „სხდომას დადგენილება გამოაქვს“ (=„დადგენილებას ქმნის, აყალიბებს“).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : მსგავსება გა-აქვს — გამო-აქვს და გა-ტანა — გამო-ტანა, აგრეთვე გა-ღება — გამო-ღება ოპოზიციურ მიმართებებში აიხსნება იმით, რომ უღვლილებისას ეს ფორმები ურთიერთმონაცვლედ გამოდიან: გა-აქვს (ავეჯი) — გა-იტანს — გა-იტანა; გამო-აქვს (კარადიდან წიგნი) — გამო-იღებს — გამო-იღო...

გა-ტირება — ვისიმე წასვლისას ტირილით გადევნება.

გამო-ტირება — 1. ვისიმე წასვლისას ტირილით უკან გამოდევნება; 2. გამოგლოვება.

ლექსიკურ სხვაობას იძლევა მნიშვნელობა „გამოგლოვება“, რომელიც იმავე სემანტიკურ რიგს განეკუთვნება, რასაც „გამოთხოვება“, „გამომშვიდობება“.

გა-ტეხა — 1. გამტვრევა, განგრევა; 2. ძალის მიყენებით, დარტყმით ნაწილებად ქცევა; 3. ღალატი („სიტყვის გატეხა“, „ფიცის გატეხა“; 4. დამარცხება („ციხე-სიმაგრის გატეხა“); 5. სასოს წართმევა („გულის გატეხა“); 6. შერცხვენა („სახელის გატეხა“); 7. დაუძლურება („ჯანის გატეხა“); 8. დაჩნდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში: „ენის გატეხა“, „ლამის გატეხა“, „უქმის გატეხა“.

გამო-ტეხა — 1. გამომტვრევა, გამონგრევა; 2. საიდუმლოს, დაფარულის თქმევიწიება („დამნაშავის გამოტეხა“); 3. გამოჩეკა („კვერცხიდან წიწილის გამოტეხა“).

ბაზისური ლექსიკური მნიშვნელობა ამ ორ ფორმას საერთო აქვს, სხვაობა ეფუძნება გადატანითი მნიშვნელობებით მათ გამოყენებას, რომლებიც თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი განვითარებიან. ყურადღებას იქცევს ამ გადატანით მნიშვნელობათა ურთიერთკორელაცია: „დაფარულის თქმევიწიება, გაცხადება“ → „გამოჩეკა“...

ღირსსაცნობია ისიც, რომ საანალიზო ფორმათა შესაბამისი ვნებითი ფორმების ოპოზიცია გარკვეულ სხვაობას გვიჩვენებს:

#86#

გა-ტყდომა — 1. ძალის მიყენებით, დარტყმით ნაწილებად ქცევა; 2. საიდუმლოს თქმა, გაცხადება: „ქურდი დღეში ათჯერ გატყდება“; 3. დასუსტება, გაძაბუნება: „ჯანი გატყდა“...

გამო-ტყდომა — საიდუმლოს თქმა, გაცხადება, გამომჟღავნება, დანაშაულის აღიარება: „ქურდი დღეში ათჯერ გამოტყდება“.

როგორც ვხედავთ, გამო- ზმნისწინიან ფორმას ვნებითში მხოლოდ ერთი მნიშვნელობა დაურჩა. სხვაობაა **გატეხა** და **გატყდომა** ფორმათა სემანტიკურ რკალებშიც.

გა-რიცხვა — გაძევება, გაგდება, დათხოვნა (სასწავლებლიდან, რისამე შემადგენლობიდან).

გამო-რიცხვა — 1. გამოძევება, გამოგდება (სასწავლებლიდან, რისამე შემადგენლობიდან); 2. გამოკლება, მოცილება („სახლის ქირის გამორიცხვა“); 3. უარყოფა, წინააღმდეგობა („ასეთი დამოკიდებულება გამორიცხავს ურთიერთგაგებას“).

პოლისემიური აღმოჩნდა მხოლოდ გამო- ზმნისწინიანი ფორმა. ორივე ზმნისთვის ბაზისურია „გაძევების“ სემანტიკა, რომლითაც უშუალოდაა

შეპირობებული გამო-რიცხვ-ა ფორმის სხვა მნიშვნელობები: „გაძევება“ → „გამოკლება“ → „უარყოფა“ (რაც გაძევებულია, ის უარყოფილიცაა და გამოკლებულიც იმავდროულად).

გა-ბმა — 1. ორ მოპირდაპირე მხარეს შორის მიმაგრება, მიბმა (თოკისა, ძაფისა...); 2. ზომის ერთეული, შულო („ერთი გაბმა აბრეშუმი“); 3. რისამე წამოწყება და დიდხანს გაგრძელება: „სიმრერა გააბა“; 4. ჩარევა, გარევა, მომწყვდევა: „საქმეში გაბმა“, „ხაფანგში გაბმა“; 5. შებმა: „უღელში გაბმა“; აქედან: გა-ბმ-ით „ერთმანეთზე მიყოლებით შეუწყვეტლად“ („გაბმით სიარული“, „გაბმით ტირილი“).

გამო-ბმა — 1. ორ მოპირდაპირე მხარეს შორის იქიდან აქეთ მიმაგრება, მიბმა (თოკისა, ძაფისა...); 2. მცენარის მიერ გამოღება, გამოტანა, გამოსხმა (კვირტისა, ნაყოფისა...); აქედან ფრაზეოლოგიური გამოთქმები: „კუდის გამობმა“, „თავის გამობმა“...

ორივე ფორმისათვის საერთოა ბაზისური (პირველი) მნიშვნელობა („ორ მოპირდაპირე მხარეს შორის მიმაგრება თოკისა...“). ყველა სხვა მნიშვნელობა შემდგომი სემანტიკური დიფერენციაციის შედეგია. ყურადღებას იქცევს ის, რომ ზოგი მნიშვნელობა უშუალოდ ზემოხსენებული ბაზისური სემანტიკიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ამავე ფუძის სხვა ზმნისწინიან ფორმებს მიემართება. მაგალითად, უღელში — შე-ბმ-ა / (გა-ბმ-ა, საქმეში — ჩა-ბმ-ა) გა-ბმ-ა, „ხაფანგში გა-ბმ-ა“, ჩანს, დაკავშირებულია და-ბმ-ა ფორმის მნიშვნელობასთან. რაც შეეხება გამოთქმას, „სიმღერის გაბმა“, აქ გა-ბმ-ა უთუოდ ბაზისური სემანტიკის გადააზრიანებასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება გამო-ბმ-ა ფორმას, მისი მეორე მნიშვნელობა („მცენარის მიერ კვირტის,

ნაყოფის გამოღება“) კორელაციაშია მო-ბმ-ა ფორმის მნიშვნელობასთან. არაა გამორიცხული, რომ გამო-ზმნისწინის გამოყენება ამ შემთხვევაში შეპირობებული იყოს გამო-ღებ-ა, გამო-ტან-ა, გამო-სხმ-ა (კვირტისა, ნაყოფისა...) ფორმათა ანალოგიით.

გა-ცვლა — ერთის ნაცვლად მეორე რისამე მიღება ან აღება ურთიერთშორის: „წიგნები გაცვალეს“.

გამო-ცვლა — 1. ერთის ნაცვლად მეორე რისამე მიღება ან აღება, შეცვლა: „წიგნი გამოცვალა“; 2. სხვად ქცევა, სხვა სახის მიღება: „უკვირდათ ამ კაცის ასეთი გამოცვლა“ (ვ. ბარნოვი).

როგორც ვხედავთ, გრამატიკულ მნიშვნელობათა დონეზე გა- და გამო-ზმნისწინიან ფორმებს შორის უშუალო სემანტიკური კორელაცია (მიმართულების მიხედვით დაპირისპირება) არა გვაქვს. გამო-ზმნისწინიანი ფორმის პირველი მნიშვნელობა („ერთის შეცვლა მეორეთი“) არსებითად არის გა-ცვლ-ა ფორმის მნიშვნელობის შემდგომი გადააზრიანების შედეგი, რაც საფუძვლად ედება ახალ გააზრებას („სხვად ქცევა“).

გა-ღება — 1. ბოლოებით რამეზე დაყრდნობა, დაღება (ფიცრისა...); გარდი-გარდმო დაღება; 2. რამეზე ზევიდან გაშვერით დაღება: „მხარზე თოფის გაღება“.

გამო-ღება — 1. ბოლოებით რამეზე იქიდან აქეთ გაღება, დაყრდნობა, (ფიცრისა...); 2. რამეზე ზევიდან გაშვერით დაღება: „სიმონამ გამოიღო თოფი

მხარზე“ (ე. ნინოშვილი); 3. გარედან შიგნით რამეზე მოდება, („მკლავის გამოდება“); „კაუჭის გამოდება“, გამოკვრა („სარმის გამოდება“); 4. ძალიან მონდომება, გულმოდგინება: „თავის გამოდება“.

პირველი ორი მნიშვნელობა გა- და გამო- ზმნისწინიანი ფორმებისა გრამატიკული კორელაციის დონეზეა წარმოდგენილი.

მნიშვნელობას „ძალიან მონდომება“ თავისი კორელატი მოეპოვება: „თავის გადადება“, მაგრამ გა- ზმნისწინთან მიმართებით გამო- აქ სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული.

მნიშვნელობას „გარედან შიგნით რამეზე მოდება, გამოკვრა“ ანალოგები მოეპოვება ამო-დებ-ა, შემო-დებ-ა, ჩამო-დებ-ა ფორმათა სახით, ოღონდ გამო-დებ-ა ფორმისგან განსხვავებით, მათ მიმართულების თვალსაზრისით (ანუ: გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით) დაპირისპირებული მარტივზმნისწინიანი ვარიანტებიც მოეპოვება: ა-დებ-ა — ამო-დებ-ა, შე-დებ-ა — შემო-დებ-ა, ჩა-დებ-ა — ჩამო-დებ-ა. ასე რომ, ამ მხრივ გამო- ზმნისწინიანი ფორმა ცალკე დგას.

გა-დენა — მასდარად მოუდის ორ ზმნურ ფორმას: გა-ა-დენ-ს და გა-დენ-ი-ს. 1. სითხის დინებით გამოყვანა, გამოწურვა (ვინმესგან ან რამესგან): „წვენი გადენა“; 2. ხმაურით

გამო-დენა — მასდარად მოუდის ორ ზმნურ ფორმას: გამო-ა-დენ-ს და გამო-დენ-ი-ს. 1. სითხის დინებით გამოყვანა, გამოწურვა (ვინმესგან, რამესგან): „ოფლის

დანარცხება, მინარცხება რა-

გამოდენა“. II. გამორეკვა,
გამოლალვა იქიდან

#88#

მეზე: „ზღართანს გაადენს“, „ჯახანს
გაადენს“. II. გარეკვა, გალალვა აქედან
იქით: „ნახირს გადენის, „მტერს
გადენის“.

აქეთ („ნახირს გამოდენის“) ან
შიგნიდან გარეთ („მტერს
ციხიდან გამოდენის“).

ფუძეა დენ-, მაგრამ სხვადასხვა ქმედებისა: ა) ერთ შემთხვევაში ხდება დენ- →
დინ-: გა-ა-დენ-ს → გა-ა-დინ-ა; ბ) მეორე შემთხვევაში გახმოვანება არ იცვლება: გა-
დენ-ი-ს — გა-დენ-ა.

ასეთი ვითარება სვამს საკითხს ამ ზმნური ფუძეების ურთიერთმიმართების
შესახებ. არ გამოირიცხება, რომ გა-დენ-ი-ს ზმნის ფუძე დენ- უკავშირდებოდეს ს-
დევ-ს ზმნის დევ- ფუძეს. თავის მხრივ, ს-დევ-ს ფორმას ეფუძნება დევ-ნ-ი-ს, აქედან:
გან-დევ-ნ-ი-ს / გან-დევ-ნ-ა, რაც გარკვეულ კონტექსტში სინონიმებია ფორმებისა: გა-
დენ-ი-ს / გა-დენ-ა („მტრის გან-დევ-ნ-ა / გა-დენ-ა).

ლექსიკურ სხვაობას ქმნის მხოლოდ მნიშვნელობა „ხმაურით დანარცხება,
მინარცხება“, რომელიც დაჩნდება **გადენა** ფორმისათვის.

გა-შვება — 1. აქედან იქით გასვლის,
წასვლის ან დინების საშუალების (ნების)
მიცემა: „სასწავლად ქალაქში შვილის
გაშვება“; „წყლის გაშვება“; 2. მოჭერილი
ხელის, კლანჭის, კბილის...) მოშორება
(რამესგან); 3. განთავისუფლება

გამო-შვება — 1. იქიდან აქეთ
გამოსვლის, წამოსვლის ან
დინების საშუალების (ნების)
მიცემა: „სასწავლად ქალაქში
შვილის გამოშვება“, „წყლის
გამოშვება“; 2. განთავისუფლება

(დაჭერილის, დამწყვდეულის...); 4.
განშორება: „ცოლის გაშვება“; 5.
დაკარგვა: „ბედის ხელიდან გაშვება“; 6.
მოზრდა, მოშვება (თმისა, წვერისა):
„თმის გაშვება“.

(დაჭერილის, დამწყვდეულის):
„პატიმრის გამოშვება“; 3.
გამოხსნა, გამოყვანა (შეზღუდული
ცხენისა, ხარისა...): „გუთნიდან
ხარის გამოშვება“; 4. პროდუქციის
დამზადება და ბაზარზე
გამოტანა: „საკვები პროდუქტების
გამოშვება“; გამოქვეყნება: „წიგნის
გამოშვება“; 5. რაიმე ნაწილის
(მონაკვეთის) გამოტოვება:
„სტრიქონის გამოშვება“; 6.
სასწავლებლის
კურსდამთავრებულთა წყება:
„უნივერსიტეტის მეათე
გამოშვება“; 7. გაფართოვება,
გაგანიზრება (ტანისამოსისა):
„კაბის გამოშვება“.

ბაზისური მნიშვნელობა საერთოა („გასვლის, წასვლის, დინების... საშუალების
ან ნების მიცემა“), მაგრამ ეს ეხება საკუთრივ გა- და გამო- ზმნისწინიან ფორმებს.
თვით ზმნის ფუძე (შვ-ებ-ა) პოლისემიურია; შდრ.: გა-შვ-ებ-ა, და-შვ-ებ-ა, მი-შვ-ებ-ა,
მო-შვ-ებ-ა, ჩა-შვ-ებ-ა... ასევე: ი-შვ-ებ-ს, უ-შვ-ებ-ს და მისთ., რომელთაც, გარდა
გრამატიკული სემანტიკისა, აპირისპირებს ლექსიკური მნიშვნელობებიც.

გა- და გამო- ზმნისწინიან ფორმათა ყველა განსხვავებული მნიშვნელობა
ურთიერთგამომდინარეობს:

გა-შვ-ებ-ა: „წასვლის საშუალების მიცემა“ → „განთავისუფლება“ → „განშორება“ / „დაკარგვა“.

#89#

გამო-შვ-ებ-ა: I. „წასვლის საშუალების მიცემა“ → „განთავისუფლება“ / „გამოხსნა, გამოყვანა (უღლიდან...)“ → „ტანსაცმლის გაფართოვება (ანუ: მოჭერილი ადგილების გამოთავისუფლება)“; II. „წასვლის საშუალების მიცემა“ → „სასწავლებლის კურსდამთავრებულთა წყება ანუ: სასწავლებლიდან წასულნი, გაშვებულნი“ || „პროდუქციის გამოშვება“; III. „წასვლის საშუალების მიცემა“ → „განთავისუფლება“ → „რაიმე ნაწილის, მონაკვეთის გამოტოვება (ანუ: მონაკვეთის „გაშვება“).

დამატებითი მნიშვნელობები გა- და გამო- ზმნისწინიან ფორმებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ აქვთ განვითარებული, რაც განაპირობებს კიდევ მათ (დამატებით მნიშვნელობათა) ლექსიკურ სხვაობას.

გა-ხედვა — შიგნიდან გარეთ თვალის მიპყრობა, შეხედვა, ყურება.

გამო-ხედვა — 1. შიგნიდან გარეთ I და II პირის მიმართულებით თვალის მიპყრობა, ყურება; 2. გამომეტყველება.

სხვაობას იძლევა მნიშვნელობა „გამომეტყველება“: „სევდიანი გამოხედვა“... სემანტიკურ გადასვლას „გამოხედვა“ → „გამომეტყველება“ რაიმე სირთულე არ ახლავს.

გა-თვლა — 1. თვლით გამოანგარიშება; 2. სათითაოდ დათვლა.

გამო-თვლა — თვლით გამოანგარიშება.

სხვაობას იძლევა მნიშვნელობა „სათითაოდ დათვლა“, რომელიც გაზომისწინა ვარიანტს დაურჩა. ამის კვალობაზე, ამ შემთხვევაში რთულ ზომისწინს კი არა აქვს დაკისრებული სიტყვათწარმოებითი ფუნქცია, არამედ მარტივზომისწინიანი ფორმა აღმოჩნდა პოლისემიური, ხოლო რთულზომისწინიანი ვარიანტი ამ მნიშვნელობათაგან მხოლოდ ერთ-ერთს (პირველს) შეესაბამება (ანალოგიისათვის იხ.: ა-წყობ-ა — ამო-წყობ-ა).

გა-წერა — 1. გადასახადის განაწილება მოსახლეობაზე, შეწერა. 2. გამოქვეყნება, დაბეჭდვა, პრესაში მოთავსება რაიმე ცნობისა ვისიმე ან რისამე შესახებ („გაზეთში გაწერეს“); 3. ჩაწერა (საბინაო დავთარში); 4. გაშვება, გამოწერა (საავადმყოფოდან...)

გამო-წერა — 1. გამოშვება (საავადმყოფოდან...); 2. რაიმე საბუთის შედგენა, დაწერა (რისამე მისაღებად): „ხელფასის გამოწერა“, „წამლის გამოწერა“; 3. წერილობით რისამე დაკვეთა: „ჟურნალ-გაზეთების გამოწერა“.

ლექსიკურად ამ ორ ფორმას საერთო აღმოაჩნდა ერთადერთი მნიშვნელობა („გაშვება საავადმყოფოდან...“). ყველა სხვა მნიშვნელობა განსხვავებულია.

გა-ჭენება — ჭენებით წაყვანა, წასვლა: „ცხენი გააჭენა“.

გამო-ჭენება — 1. ჭენებით წამოყვანა, წამოსვლა: „ცხენი გამოაჭენა“; 2. საქვეყნოდ თავის მოჭრა, შერცხვენა: „ჩემი გამოჭენება გინდა ამ მოხუცებულობის ხანს?“ (დ. კლდიაშვილი).

ამოსავალი, ბაზისური მნიშვნელობა საერთოა. სხვაობას იძლევა გამო-ჭენებ-ა ფორმის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება; ამის კვალობაზე გამო-ჭენებ-ა ფორმა ორ სემანტიკურ რკალში შედის: 1. „ჭენება; ცხენის, სახედრის (...) სწრაფად, სირბილით ტარება“, რომლის გრამატიკული კორელატია გა-ჭენებ-ა; 2. „შერცხვენა, დამცირება, თავის მოჭრა“.

გა-ხსნა — 1. შეკრულის, გაკვანძულის გაშლა; გამოხსნა; 2. გაღება (დახურულისა, დაკეტილისა), გადაშლა (წიგნისა...): „დარაბების გახსნა“, „წიგნის გახსნა“; 3. გაქნა, გაზავება სითხეში რისამე: „კირის გახსნა“; 4. დაარსება, დაფუძნება, გამართვა, შექმნა: „ახალი თეატრის გახსნა“; 5. მუშაობის დაწყება „კრების გახსნა“) ან განახლება („სეზონის გახსნა“); ამოცნობა, გამოცნობა: „ქარაგმის გახსნა“... დაჩნდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში: „გონების გახსნა“, „გზის გახსნა“ და მისთ.

გამო-ხსნა — 1. შეკრულის, გაკვანძულის გამოშლა, გახსნა: „ნასკვის გამოხსნა (|| გახსნა)“; 2. გამოშვება, გათავისუფლება (უღლიდან, პატიმრობიდან...): „ურმიდან ხარების გამოხსნა“, „თავის გამოხსნა სცადა“; 3. გამოსყიდვა: „დაგირავებული მამული გამოიხსნა“.

გრამატიკული სემანტიკის დონეზე ოპოზიცია დასტურდება მხოლოდ პირველ შემთხვევაში („შეკრულის, გაკვანძულის გაშლა“).

იმავდროულად აშკარაა ისიც, რომ ყველა დანარჩენი მნიშვნელობა გადააზრიანების საფუძველზეა მიღებული: „შეკრულის გაშლა, გახსნა“ → „დახშულის, დახურულის გაღება“ → „დაარსება, დაფუძნება“ || „გამოშვება, გათავისუფლება“ → „გათავისუფლება სასყიდლის გაღებით“...

ამის კვალობაზე სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებულ ფორმებს განსხვავებული კორელაციები ახასიათებს:

ნასკვის გა-ხსნ-ა — ...გამო-ხსნ-ა, ჩა-ხსნ-ა, შე-ხსნ-ა...

ტყვეობიდან გამო-ხსნ-ა — ... და-ხსნ-ა

განსხვავებულია კორელაცია ფუძეთა დონეზეც:

დარაბის გა-ხსნ-ა — ...გა-ღებ-ა

თეატრის გა-ხსნ-ა — ... და-არსებ-ა

ქარაგმის გა-ხსნ-ა — ... ამო-ცნობ-ა

ტყვეობიდან გამო-ხსნ-ა — ... გა-თავისუფლებ-ა...

იმავდროულად სხვადასხვა ფუძეთა გამოყენებისას დაჩნდება შიგა დაპირისპირებაც:

გა-ხსნ-ა ფორმის სინონიმი გა-ღებ-ა შეიძლება იყოს მხოლოდ მნიშვნელობისას: „დახურული, დაკეტილი სათავსოს გახსნა, გაღება“, მაგრამ „წიგნის გახსნა“ კონტექსტში შეუძლებელია „გაღება“ იქნას ჩანაცვლებული, დასაშვებია მხოლოდ „გადაშლა, გადაფურცვლა“. ასევე: „საღებავის გახსნა“ კონტექსტი იგუებს „გაქნა, გაზავება“ ფორმებს, მაგრამ დაუშვებელია „გაღება“...

#91#

გა-ყრუება — 1. დიდი ხმაურით,
გაუთავებელი ლაპარაკით ყურთასმენის

გამო-ყრუება — 1. დიდი ხმაურით
გაუთავებელი ლაპარაკით

წაღება; 2. ტკივილის შეგრძნების უნარის დაკარგვა, გაყუჩება.

ყურთასმენის წაღება, სმენის დახშობა; 2. ყველაფრისგან მოწყდომა, ცხოვრებისაგან ჩამორჩენა; 3. გონებრივად დაუძლურება, გამოთაყვანება, გამოლენჩება: „სიბერისაგან გამოყრუებული“; 4. სიცოცხლის შეწყდომა, სიჩუმის დასადგურება: „გამოყრუებული სოფელი“.

საერთოა მხოლოდ ერთი (პირველი) მნიშვნელობა („ყურთასმენის წაღება, სმენის დახშობა“), თანაც ეს ორი ფორმა თავისუფლად შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს მიმართულების მიხედვით სემანტიკური ოპოზიცია ფაქტობრივ ნიველირებულია).

დანარჩენ მნიშვნელობათა განვითარებას გადააზრიანება უდევს საფუძვლად: I. „დიდი ხმაურით სმენის დახშობა“ → შუალედური გააზრება. „ვერაფრის გაგება, შესმენა“ → „ყველაფრისგან მოწყდომა, გონებრივი ჩამორჩენა“ → „გამოთაყვანება“; II. „დიდი ხმაურით სმენის დახშობა“ → შუალედური გააზრებები: „ვერაფრის შესმენა“ / „ვერაფრის გაგება“ → „ტკივილის შეგრძნების უნარის დაკარგვა“ → „ტკივილის გაყუჩება“.

გა-ყრა — 1. შიგნიდან გარეთ გაგდება მრავალისა, გარეკვა: „ყველანი გარეთ გაყარა“; 2. გაფანტვა, გაბნევა:

გამო-ყრა — 1. შიგნიდან გარეთ I და II პირის მიმართულებით გამოგდება მრავალისა, გამორეკვა:

„მუგუზალთა ნაპერწკლები გაყარა“; 3. ერთმანეთისაგან დაშორება, დაცილება, მოშორება: „სტუმარ-მასპინძელი გაიყარა“; 4. გაყოფა ქონებისა, ერთმანეთისაგან გაშორება საზიარო ქონების განაწილებით; 5. რამეში გატარება, შეყოფა: „ძაძის ნემსში გაყრა“, „მკლავში მკლავის გაყრა“.

„ყველანი გარეთ გამოყარა“; 2. გამოფანტვა, გამოზნევა; 3. რამეში გამოტარება: „ძაფის ნემსში გამოყრა“; 4. სხეულზე დაყრა მუწუკებისა...) „ტანზე მუწუკები გამოაყარა“.

გა-ყარ-ა / გა-ყრ-ი-ს იმ თავისებურ ზმნათა წყებას განეკუთვნება, რომლებიც რიცხვში ფუძემონაცვლენი არიან, ანუ: იმის მიხედვით, ობიექტი ერთია თუ მრავალი. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ პირველი მნიშვნელობით „შიგნიდან გარეთ გაძევება, განდევნა, იძულებით გაყვანა“) მისი გამოყენებისას. სხვა შემთხვევებში ოდენ ყარ- / ყრ- ფუძეა გამოყენებული. ამის მიზეზი ადვილად დასადგენია მაშინ, როცა მოქმედი ან სამოქმედო ორზე მეტია. „სტუმარ-მასპინძელი გაიყარა“, „ოჯახი გაიყარა“ — იგულისხმებიან ერთი ოჯახის წევრები, „მუწუკები გამოაყარა“). მაგრამ იგივე ფუძეა დადასტურებული ამ შემთხვევაშიც: „ნემსში ძაფი გაუყარა“, „მკლავში მკლავი გაუყარა“, „თვალი თვალში გაუყარა“ და მისთ.

გრამატიკული ოპოზიცია დადასტურებულია შემდეგი საზიარო ლექსიკური

#92#

მნიშვნელობების დროს: „გაგდება მრავალისა“, „გაფანტვა“. „რამეში გატარება, შეყოფა“.

მნიშვნელობები: „დაშორება, დაცილება“ და „დაშორება ქონების განაწილებით, გაყოფა“ გამოიხატება მხოლოდ გა- ზმნისწინიანი ფორმით, მნიშვნელობა „სხეულზე მუწუკების დაყრა“ — გამო-ზმნისწინიანი ფორმით, რომელიც შეიძლება გამოხატოს

და- ზმნისწინიანმა ფორმამაც (გამო-ა-ყრ-ი-ს— და-ა-დრ-ი-ს; სემანტიკური ანალოგიისათვის შდრ.: გამო-ა-ფენ-ს — და-ა-ფენ-ს).

გა-ვარდნა — 1. სწრაფად, ერთბაშად გასვლა შიგნიდან გარეთ; 2. თოფის, ზარბაზნის (...) გასროლისას ხმის გამოცემა: „თოფი გავარდა“; || ძლიერი ხმის გამოცემა: „მეხის გავარდნა“; 3. დავარდნა, ძირს დაცემა: „ბავშვი ხელიდან გაუვარდა“; 4. გაჭრა (ყაჩაღად...) „ყაჩაღად გავარდა“; 5. სწრაფი გავრცელება რაიმესი: „სახელი გაუვარდა“, „ხმა გავარდა“.

გამო-ვარდა — 1. სწრაფად, ერთბაშად გამოსვლა შიგნიდან გარეთ I და II პირის მიმართულებით; 2. თოფის, ზარბაზნის (...) გასროლისას ხმის გამოცემა: „იქიდან რამდენიმე თოფი გამოვარდა“; 3. ვარდნით გამოძრომა, მოწყდომა: „წიგნიდან ფურცელი გამოვარდა“.

პირველი ორი მნიშვნელობის ფარგლებში ოდენ გრამატიკული ოპოზიცია გვაქვს: **გა-ვარდნა** — **გამო-ვარდნა** ამ შემთხვევაში მიმართულების მიხედვითაა დაპირისპირებული.

მნიშვნელობები: „გაჭრა (ყაჩაღად...)“, „სწრაფი გავრცელება რაიმესი“ მხოლოდ **გა-** ზმნისწინიანი ფორმით გამოიხატება.

ზოგჯერ ერთი და იმავე მნიშვნელობის ფარგლებში დაჩნდება მერყეობა: დასაშვებია როგორც „თოფი გავარდა“, ასევე „თოფი გამოვარდა“, მაგრამ მხოლოდ: „მეხი გავარდა“. მიზეზი ნათელია: თოფის სროლა ყოველთვის ამა თუ იმ მიმართულებით ხდება, რაც გამოირიცხება მეხის გავარდნის დროს.

გა-სვლა — 1. შიგნიდან გარეთ სვლა; 2. ერთი მხრიდან მეორეზე მისვლა: „გაღმა გასვლა“; 3. გარკვეული პუნქტიდან (სადგურიდან...) დაძვრა, წასვლა: „მატარებლის გასვლა“; 4. მონაწილეობის მიღება, ჩაბმა რამეში („სამსახურში გასვლა“) ან თავის დანებება, მიტოვება („სამსახურიდან გასვლა“); დაჩნდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში: „ხმალში გასვლა“, „ფონს გასვლა“, „თავს გასვლა“...

გამო-სვლა — 1. შიგნიდან გარეთ I და II პირის მიმართულების წამოსვლა; 2. ერთი მხრიდან მეორეზე მოსვლა: „გამოღმა გამოსვლა“; 3. გარკვეული პუნქტიდან (სადგურიდან...) დაძვრა, წამოსვლა: „მატარებლის გამოსვლა“; 4. მონაწილეობის მიღება, ჩაბმა რამეში (სამსახურში გამოსვლა), დაწყება რაიმე მოქმედებისა („შეიარაღებული გამოსვლა“, „ასპარეზზე გამოსვლა“, „საშოვარზე გამოსვლა“), ან რამესთვის თავის მინებება, მიტოვება („სამსახურიდან გამოსვლა“); 5. საჯაროდ სიტყვის თქმა, წარდგომა ვისიმე წინაშე: „საზეიმო სიტყვით გამოსვლა“; 6. მონაწილეობის მიღ-

#93#

ება თეატრალურ ღონისძიებაში: „სცენაზე გამოსვლა“; 7. რეგულარულად გამოქვეყნება, გასავრცელებლად გამოტანა

გაზეთისა, ჟურნალისა: „გამოსვლა
დაიწყო გაზეთმა „ივერიამ“; 8.
თავის დაღწევა,
განთავისუფლება: „გაჭირვებიდან
გამოსვლა“, „ციხიდან გამოსვლა“;
9. დასრულება, დამთავრება
(„გაკვეთილის გამოსვლა“) ||
დაგვირგვინება „საქმის
გამოსვლა“...).

აშკარაა, რომ ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც ამჟამად ლექსიკურ სხვაობას იძლევა სემანტიკური გადააზრიანების შედეგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად ესა თუ ის ლექსიკური მნიშვნელობა ოდენ განსაზღვრულ კონტექსტში დაჩნდება. მაგალითად, მნიშვნელობები: „მონაწილეობის მიღება, ჩაბმა რამეში“ და „რამისტვის თავის მინებება, მიტოვება“ განირჩევა ზმნასთან სემანტიკურად შეხამებული სახელის ფორმით (რომელი თანდებულითაა წარმოდგენილი): „სამსახურში გამოსვლა“ — „ასპარეზიდან გამოსვლა“... გარდა ამისა, აზრობრივად „ოთახიდან გამოსვლა“, „სამსახურიდან გამოსვლა“ და „გაჭირვებიდან გამოსვლა“ არსებითად იდენტურია, ოღონდ იღებს განსხვავებულ მნიშვნელობებს იმისდა კვალობაზე, თუ რომელი სახელია ზმნასთან შეხამებული: ერთ შემთხვევაში ხდება „გამოსვლა“ ფორმის ძირითადი (ბაზისური) მნიშვნელობის რეალიზაცია („ოთახიდან გამოსვლა“), მეორე შემთხვევაში იგივე ფორმაა გამოყენებული გადატანითი მნიშვნელობით („სამსახურიდან გამოსვლა“), მესამე შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტაფორულ შესიტყვებასთან („გაჭირვებიდან გამოსვლა“). თავის მხრივ ეს სვამს საკითხს კონტექსტის როლის შესახებ ამა თუ იმ ფორმის სემანტიკურ გადააზრიანებაში.

გა-ჭრა — 1. მჭრელი იარაღით რისამე გაკვეთა; 2. სიგრძივ გათხრა: „არხის გაჭრა“; 3. გაკაფვა, გაჩეხვა: „ტყის გაჭრა“; 4. ვინმესკენ ან რაიმესკენ გავარდნა („მეომარი მტრის რაზმისაკენ გაიჭრა“); 5. განრიდება განმარტოების მიზნით: „ველად გაჭრა“.

გამო-ჭრა — 1. ჭრით გამოთლა: „ჯოხის გამოჭრა“; 2. თარგის მიხედვით დაჭრა (ქსოვილისა...): „კაბის გამოჭრა“; 3. გამორჩევით მოჭრა (ხისა...): „ტყეში ხეების გამოჭრა || ტყის გამოჭრა“; 4. ჭრით გამოკვეთა: „ნანადირევს სამწვადე გამოსჭრეს“, „ყელს გამოსჭრის“.

როგორც ვხედავთ, გა- და გამო- ზმნისწინიან ფორმებს გადამკვეთი მნიშვნელობები არ დაურჩათ, მიუხედავად იმისა, რომ ბაზისური სემანტიკა („მჭრელი იარაღით რისამე გაკვეთა“) უშუალოდ ან გადატანით ყველა ზემოდასახელებულ ფორმაში ილანდება, მაშინაც კი, როცა აშკარად მეტაფორულ შესიტყვებებთან გვაქვს საქმე („მტრის რაზმისაკენ გაჭრა“, „ველად გაჭრა“). მაგალითად, თუ გავიხსენებთ, რომ არსებობს ასეთი გამოთქმა: „მტრის რაზმში შეჭრა“, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგის რაზმის ორად გაკვეთას, გაყოფას (იგულისხმებს ასოციაციური კავშირი „ჭრის“ ზმნის ბაზისურ

#94#

მნიშვნელობასთან), მაშინ მოულოდნელი არ უნდა იყოს ერთი ძირის მქონე ფორმათა ასეთი შენაცვლება — შე-ჭრ-ა: გა-ჭრ-ა...

წა-ლაპარაკება — 1. ხმის ამოღება, ჩუმად თქმა; 2. წაკინკლავება.

წამო-ლაპარაკება — 1. ხმის ამოღება, ჩუმად წარმოთქმა.

აქაც წა-ზმნისწინიან ვარიანტს განვითარებია დამატებითი მნიშვნელობა („წაკინკლავება“). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წა- ზმნისწინს ამ შემთხვევაში ოდნაობის სემანტიკის გამოხატვაც აკისრია. შდრ.: წა-ი-მუშავ-ებ-ს, სა-ი-სულელ-ებ-ს... დიალექტური: წა-ყვითალ-ო „მოყვითალო“).

* * *

ზემოთ წარმოდგენილი იყო მაგალითები, როცა მარტივი და რთული ზმნისწინები ლექსიკურად განარჩევდნენ ფორმებს.

რა თქმა უნდა, დასახელებული ნიმუშებით არ ამოიწურება ამგვარი შემთხვევები. ჩვენთვის ამჯერად არსებითი მაინც ის იყო, რომ გვეჩვენებინა ამგვარი მოვლენის წარმოქმნის პრინციპი და ტენდენცია, აგრეთვე ისიც, რომ ახალი მნიშვნელობის განვითარება თვით ამა თუ იმ ფორმის სემანტიკური პოტენციითაა შეპირობებული.